




რესპუბლიკა

ორშაბათი, 23 იანვარი. 2023 წ. №8 (9540) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

**ნაპატიოსნად
ეს წერილი
დასავლეთს
მიმართული
ნათესა და
მოსულსა!**



თამაზ
ნატროშვილი:

**იას,
ბნელ
ხეობი
მოსულსა...**

გამოჩენილი ქართველი მწერლის და პუბლიცისტის
თამაზ ნატროშვილის ეს სულისშემძვრელი წერილი,
რომელიც სულ რაღაც ერთი წლის წინ დაიწერა, თა-
მამად შეიძლება შევიყვანოთ იმ პუბლიკაციების
ნუსხაში, რომლებმაც ჩვენ ხშირად ვწერთ – „რასას
ამ ბაგათში წაიპითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!“

დიახ, ასეთი ძვირფასი ისტორიულ-დოკუმენტუ-
რი, ხელისუფლებისთვის საპროგრამო ნაპრვეი დღეს
არც ერთ ქართულ ჟურნალ-გაზეთში არ იბეჭდება,
იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყველას მსგავს სუ-
ლიერ სიმდიდრეზე ხელი იშვიათად მიუწვდება!

დიდი მადლობა მწერლის მეუღლეს, თვითონაც
შესანიშნავ მკვლევარსა და პუბლიცისტს, ქალბატონ
ქეთევან ტომარაძეს, რომელმაც თამაზ ნატროშვი-
ლის ეს ბოლო წერილი (ხვალ მისი გარდაცვალე-
ბის წლისთავია!) „საქართვე-
ლოს რესპუბლიკის“ გონიერ
მკითხველს შესთავაზა.

ნ. 6-7 გვ.

**შუა ღეროვნის მნიშვნელობა:
შუაფასეობა
დაუშვებელია,
გადაფასება –
შუაქლებელი!**



ნ. 4 გვ.

ვიქტორ ყიფიანი,
„ჯაოქიისი“,
თავმჯდომარე.

**საქართველოში
ინვესტირებით
არაერთი
უსხოური
კომპანია
დაინტერესდა**



ნ. 2 გვ.

**ანაკლია, პართლას
საჯილდო... ნავსადგური!**



ალექსი
არასტოვიჩი:

**ჩვენი გამარჯვება
გარანტირებულად
აღარ გამოიყურება!**


**550-ზე მეტი სართავოროსო
კომპანია რუსეთში ბიზნეს-
სამყიანობას აგრძელებს**

ნ. 2 გვ.

რაზო
ამაშუქალის
გარდაცვალებიდან
ერთი წელი
გავიდა...



სიუვარულის მისტერია...



**1. რატომ იქნა ქვეყნის სამსახურში მყოფი
ჯარისკაცი ეკვლად და რა მიზეზი
შეიძლება ამ დანაშაულს წინ უდგოდეს?**



ნ. 4 გვ.

**2. „აგლანეთგაგოვლილ
მეგრელებს ყოველთვის
აქვთ აგლანური სინდრომი“**

საქართველოში ინვესტირებით არაერთი უსხოური კომპანია დაინტერესდა



ანაკლია, მართლაც საქილდო... ნავსადგური!

მიმდინარე წელს მთავრობა ინვესტიციების მკვეთრმა მატებას არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით განაცხადდა. ამას გვიჩვენებს მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია. მთავრობის განცხადებით, 2023 წელს საქართველოში ინვესტირებით არაერთი უცხოური კომპანია არის დაინტერესებული. დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე მყოფი მინისტრის თქმით, ამ კომპანიების ნაწილი ქვეყანაში ისედაც წარმოდგენილია, ხოლო ნაწილი ახალი ინვესტიორი იქნება.

მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ირაკლი ღარიბაშვილი და სამთავრობო დელეგაცია დავოსში „სითი გრუპის“, „სტენა ლანის“, ასევე „კარფურის“

მფლობელი კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდა. ამასთანავე, შეხვედრა გამართა ყაბარის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდის ხელმძღვანელთანაც.

„დავოსის ეკონომიკური ფორუმი ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობდა. ინტენსიური შეხვედრები გაიმართა ინვესტიორ კომპანიებთან. ჩვენ გვქონდა საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობების განხილვა ძალიან ბევრ დაინტერესებულ კომპანიასთან. იმ კომპანიებთან, რომლებიც საქართველოში წარმატებით მოღვაწეობენ და არის შანსი, რომ მათ გააფართოვონ თავიანთი საინვესტიციო პროექტები საქართველოში, ასევე იმ კომპანიებთან, რომლებიც ჯერ რეგიონში არ არიან წარმოდგენილები. ვისაუბრეთ საქართველოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე, ასევე იმ გეოგრაფიულ შესაძლებლობებზე, რომელიც საქართველოს გააჩნია.“

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო მოვლენების ფონზე ცენტრალური დერეფნით დაინტერესება საერთა-

შორისო გადამზიდავი კომპანიებისა. ჩვენ ვისაუბრეთ ძირითად სტრატეგიულ პროექტებზე, რომელიც გულისხმობს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. ასევე, ენერგეტიკის მიმართულებებზე. ზოგადად, სტუმარმასპინძლობის სფეროზე და სხვადასხვა დარგზე, სადაც საქართველოს მართლაც გამოჩენილი პოტენციალი გააჩნია.

ვფიქრობ, საკმაოდ ბევრია დაინტერესებული კომპანია, რომელიც 2023 წლის განმავლობაში პოზიტიურ გადაწყვეტილებებს მიიღებს საქართველოში ინვესტიციების კუთხით“, — განაცხადა ვიცე-პრემიერმა.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელი ანაკლიის უმსხვილესი პორტისადმი ინვესტიციების დაინტერესებითაც დაიწყო. თურქული პოლიტიკური კომპანია პორტის პროექტში კაპიტალდაზღვრებითაა დაინტერესებული. ცნობილია, რომ თებერვლის ბოლოს, მარტის დასაწყისში მოხდება გარკვეული საბუთების გადაგზავნა და ასევე იგეგმება დაინტერესე-

ბული კომპანიის ხელმძღვანელი პირების ვიზიტი საქართველოში. თურქულ კომპანიასთან ერთად ანაკლიის პორტში ინვესტირებით აზიური კომპანიების ინტერესიც მზარდია. იაპონური კომპანიის წარმომადგენლები საქართველოში გასული წლის ბოლოს უკვე იმყოფებოდნენ.

მთავრობის გადაწყვეტილებით, ანაკლიის პორტის აშენება სახელმწიფოს თანამონაწილეობით მოხდება და ამ პროექტში სახელმწიფოს წილი 51% იქნება. სწორედ ამ უკანასკნელი ფაქტორის გათვალისწინებით, აზიისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების ბიზნესპალატის პირველი ვიცე-პრეზიდენტი დავით ცირცაძე ამბობს, რომ ამ შემთხვევაში ინვესტიორი უფრო დაზღვეულია, ვინაიდან 51%-ს სახელმწიფო ფლობს.

„ანაკლიის პორტში ინვესტირების ინტერესს აზიიდან საკმაოდ ბევრი კომპანია გამოხატავს. ჯერჯერობით ინვესტირებაზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. როგორც ცნობილია, გარკვეული სასამართლო დავა მიმდინარეობს და ახლა მიდის იმაზე მსჯელობა, რამდენად შესაძლებელია, რომ ეს დავა ინვესტირებაზე აისახოს.“

ზოგიერთი პოლიტიკოსი ამბობდა, თითქმის ინვესტიორი არ წამოვიდოდა, ახლა კი, პირიქით, ვხედავთ, რომ უკვე არის წინადადებები პროექტის წარმატებულად განხორციელებისათვის. ინვესტიორი უფრო დაზღვეულია ამ შემთხვევაში, ვინაიდან 51%-ს სახელმწიფო ფლობს. იქ არის გარკვეული საკითხები, რომელსაც შესაძლოა, სრულად ბიზნესი მართავდეს და არა სახელმწიფო“, — განაცხადა დავით ცირცაძემ „კომერსანტთან“.

საქართველოს მთავრობა იმედოვნებს, რომ 2023 წლიდან ანაკლიაში სამშენებლო სამუშაოები და პორტის განვითარება დაიწყება. ინტერესთა გამოხატვა კი თებერვლის ბოლომდე მოხდება. თავად პროექტი სამ ეტაპად განხორციელდება და პირველი ეტაპის სამუშაოები 300 მლნ დოლარი დაჯდება.

პაპა დანელია

ალექსი არსტოვიჩი:

ჩვენი ბაზრებზე ბარანტირებულად პლარ გამოიყურება!



დაპირისპირებული ურთიერთობები დამარცხდნენ, 14 იანვარს შემდეგ ჩვენი ბაზრებზე ბარანტირებულად აღარ გამოიყურება, — ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის ყოფილმა მრჩეველმა, ალექსეი არსტოვიჩმა უკრაინელ ჟურნალისტთან, იური რომანენკოსთან ინტერვიუში განაცხადა.

არსტოვიჩმა ისაუბრა სოციალურ ქსელებში მისი და მისი ოჯახის წევრების წინააღმდეგ დაწყებულ „სიძულვილის კამპანიაზე“. ეს კამპანია 14 იანვარს რუსეთის მიერ ქალაქ დნიპროვზე მიტანილი იერიშის შემდეგ არესტოვიჩის მიერ გაკეთებულ განცხადებას უკავშირდება.

14 იანვარს არესტოვიჩმა განაცხადა, რომ დნიპროში საცხოვრებელ კორპუსს რუსული რაკეტა მას შემდეგ დაეცა, რაც ის უკრაინის საჰაერო თავდაცვამ ჩამოაგდო. ეს ინფორმაცია უკრაინის შეიარაღებულ ძალებში არ დადასტურეს. მოგვიანებით, თავად არესტოვიჩმა განაცხადა, რომ შეცდომა დაუშვა და უკრაინის პრეზიდენტის ოფისში დაკავებული თანამდებობა დატოვა.

ჟურნალისტი იური რომანენკოსთან ინტერვიუში არესტოვიჩი მკაცრად გამოხატა მის წინააღმდეგ აგორებულ სიძულვილის კამპანიას და ამასთან ერთად, აცხადებს, რომ ეს კამპანია რუსეთმა სათავეს დაუდო. არესტოვიჩი მიიჩნევს, რომ კრემლი ცდილობს უკრაინელების და-

პირისპირებას და მოსკოვს შეგნებულად აქვს არჩეული სამიზნეები. უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის ყოფილი მრჩეველი ასევე მიუთითებს უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის, დენის შონასტრისკის სიკვდილზე და ამასაც რუსული სპეცოპერაციის ნაწილს უწოდებს, რომლის მიზანაც უკრაინის დასუსტებაა.

„არა უშავს, ჩემი თავი არ მეცოდება, შეხედეთ საკუთარ თავს. მე არ ვარ ერთადერთი, ვის წინააღმდეგაც დღეს გარკვეული ქმედებები ხორციელდება. რუსები ურტყამენ ფიგურებს, რომლებიც გადამწყვეტ ფიგურებზე მიაჩნიათ, რადგანაც უკვე ტრიალუმს ისტორია, რომელსაც ჩვენ არ ვმართავთ. ჩვენ ამ ისტორიის შიგნით ვიმყოფებით. ასე რომ, ვიდრე სულელ რუსებს დავცინით და გვიხარია, რომ ჩვენ დაუმარცხებელი ვართ, შეგახსენებთ, რომ ჩვენ დაუმარცხებელი ვართ, ვიდრე ჩვენ ერთმანეთს არ დავუპირისპირდებით. მაგრამ როდესაც ერთმანეთს დავუპირისპირდებით, შემდეგ ძალიანაც ადვილად დასამარცხებელი ვართ, უმოკლეს ვადაში, ისე, რომ ამას ჩვენ თავადაც არ ველოდებით. და თუ ყველა ფიქრობს... და მე ახლა არაოფიციალური პირი ვარ და ვამბობ, რასაც მინდა, თუ ყველა ფიქრობს, რომ ჩვენ ომს გარანტირებულად მოვიგებთ, გეტყვით: 14 იანვრის შემდეგ ეს ასე სულაც აღარ გამოიყურება“, — განაცხადა არესტოვიჩმა.

550-ზე მეტი საერთაშორისო კომპანია რუსეთში ბიზნეს- საქმიანობას აბრკმლებს

„ევრონისის“ ცნობით, 550-ზე მეტი საერთაშორისო კომპანია, მათ შორის მთავარი ევროპული, ამ დრომდე რჩება რუსეთში და ბიზნესსაქმიანობას აგრძელებს, — ამის შესახებ ნათქვამია იელის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ კვლევაში. ამ კომპანიებიდან 223 რუსეთში საქმიანობას „ჩვეულ რეჟიმში“ განაგრძობს. მათ შორის არიან იტალიური Boggi, Benetton-ი, Calzedonia, ფრანგული — Clarins-ი, Etam-ი, Lacoste, გერმანული — Siemens Healthineers-ი, B. Braun -ი, ნიდერლანდური — Philips-ი. რუსულ ბაზარზე რჩება ამერიკული კომპანიების ნაწილი. მათ შორის Tom Ford-ი, Tupperware და TGI Friday's-ი. ასევე ჩინური ფირმები — Alibaba, Tencent და ZTE.

რუსეთში ოპერირებას განაგრძობენ შემდეგი ავიაკომპანიები — Emirates Airlines-ი, Egyptair-ი, Qatar Airways-ი და Turkish Airlines-ი.

საერთო ჯამში, იელის უნივერსიტეტის კვლევაში წარმოდგენილია 1 389 კომპანია, რომლებიც ოთხ კატეგორიად არის დაჯგუფებული. მათგან 223 ჩვეულ რეჟიმში საქმიანობს, 162-მა ფირმამ დადო პირობა, რომ მომავალში დატოვებს რუსულ ბაზარს, მაგრამ ჯერ კვლავაც აგრძელებს საქმიანობას, 170 კომპანია მნიშვნელოვნად შეამცირა რუსეთში საქმიანობა, თუმცა ნაწილობრივ მაინც რჩება ბაზარზე, 493-მა კომპანიამ სრულად ან თითქმის სრულად შეაჩერა რუსეთში საქმიანობა და 341-მა კომპანიამ სრულად დატოვა რუსეთი. ამრიგად, როგორც „ევრონისის“ წერს, 555 კომპანია ჯერ კიდევ ოპერირებს რუსეთში, რაც იელის უნივერსიტეტის კვლევაში შესული კომპანიების 40%-ს წარმოადგენს.

იმ ფირმებს შორის, რომლებიც აჭიანურებენ რუსეთში საქმიანობის შეწყვეტას, მოხვდნენ კომპანიები ევროკავშირის წევრი და დიდი შეიდეულის წევრი სახელმწიფოებიდან. მათ შორის — შრიტანული AstraZeneca, იტალიური Barilla და ფრანგული BlaBlaCar-ი. ამავე კატეგორიაში მოხვდა იტალიური Giorgio Armani, გერმანული Merck-ი, შვეიცარიული Nestle, ავსტრიული Red Bull-ი და ფრანგული Yves Rocher.

იელის უნივერსიტეტის კვლევის შედეგებზე „ევრონისთან“ კომენტარი გააკეთა ევროკომისიის პრესსპიკერმა. მისი თქმით, ევროკავშირის სანქციები არ ავალდებულებს კომპანიებს რუსეთის დატოვებას და ბევრმა სხვაგვარი არჩევანი გააკეთა.



**ვიტორ
შიკიანი,
„ჯაოქისი“,
თავმჯდომარე.**

შუა ღეროვნის მნიშვნელობა: შუაფასებლობა დაუშვებელია, გადაფასება – შუაქლებელი!

გაოგრაფიული კოზირი

სამართა პაშვიანის და დამოუკიდებლობის აღდგენის შედეგად საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი სუბიექტები – ყოფილი „მოკავშირე რესპუბლიკები“ – უმაღლეს გეოპოლიტიკურ ვაკუუმში აღმოჩნდნენ. გლობალურ სისტემაში იურიდიული სტატუსის გარდა, მათ უმეტესობას, პრაქტიკულად, საკუთარი სახელმწიფოებრივი ქმედუნარიანობის დამტკიცება ნულიდან მოუწია. ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და მეტად მტკივნეული გამოდგა – განსაკუთრებით საქართველოსა და მისი უშუალო სამხრეთობისთვის. მეტიც, მძიმე სამაგისტრო მემკვიდრეობამ, თანამედროვე მართვადი გამოყვანილობამ და პოლიტიკური პროცესების საფუძვლების არცოდნამ, რამდენიმე ქვეყანაში სერიოზული რყევები გამოიწვია. ხოლო სამხრეთ კავკასიის „სამკუთხედი“ მუდმივად არასტაბილურობის, განგრძობადი შინა-აშლილობისა და გარე საფრთხეების გაღვივების კერად იქცა.

შემთხვევითობას ვერ მივაწერთ იმ გარემოებას, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის თავდაპირველ წლებში დიდი პოლიტიკის დამგეგმველებმა ჩვენი რეგიონის გეოპოლიტიკურ თუ გეოეკონომიკურ დიდიწინებებს ზურგი ტოქსიკურობის გამო აქციეს. ასეთმა დამოკიდებულებამ, თავის მხრივ, შიდასახელმწიფოებრივი პროცესების დესტაბილიზაცია უფრო მეტად გააძაფრა, შავი ზღვისა და კასპიის რეგიონის კონკურენტუნარიანობა კი დააწინა. გადაუღებელი ამოცანა გახდა ისეთი გზების პოვნა, რომლებიც რეგიონის ქვეყნებს გლობალური პროცესების პერიფერიას გამოსტაცებდა და ჯეროვან, მნიშვნელობის მქონე პოლიტიკურ გეოგრაფიულ გადაწყვეტას.

ასეთი გზების მონიშვნა და რეგიონის პოსტ-სამკოური „ჭაობიდან“ ამოყვანა იმ დროისათვის სატრანსპორტო კავშირებზე, სატრანსპორტო დერეფნებსა და საკომუნიკაციო ქსელებზე მეტად ხმაურთან განაცხადებს დაუკავშირდა. რეალურად, გეოგრაფია იქცა საბოლოო მიზიდვისაგან თავის დაღწევის ერთ-ერთ ქმედით ფაქტორად, ხოლო ამ ფაქტორზე აღმოცენებულმა პროცესებმა რეალურად სწრაფი მოქმედების იმპულსი მიიღო. ტრანსპორტი და კომუნიკაციები დროთა განმავლობაში რეგიონალური საეკონომიკო ბაზრები გახდა, რაც ამა თუ იმ პროექტში მონაწილე ქვეყანას, მართალია, ზოგან შეცდომით, ზოგან არასრულად, ზოგან კი გარკვეული ჩამორჩენით, მაგრამ თავისი ეროვნული პოზიციონირებისა და სარგებლობის კაპიტალიზაციის შესაძლებლობა მისცა.

ცხადია, ქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სივრცეც საერთო პროცესის – „ტრანსკასპიის“ თუ „დიდი აზერბაიჯანის“ ინტეგრალური ნაწილი გახდა: ცალკეულ პროექტებზე თბილისში ინიციატივის, ხოლო რიგ პროექტებზე კი თანაინიციატივის როლი მოიწყო. პრაქტიკულად, ყოველ მათგანში ქართული რგოლი საერთო ჯაჭვის იმ აუცილებელ კომპონენტად ჩაება, რომლის გარეშეც რეგიონზე გამავალი რომელიმე პროექტის თეორიული შედეგები პრაქტიკულ შედეგად ვერ განვითარდებოდა. შესაბამისად, ოფიციალური თბილისის ახლებური მოცემულობის წინაშე დადგა: რეგიონში სათანადო თანამშრომლობისა და კოორდინაციის პირობით ქართული ჯანსაღი „ეკონიტრენსი“ სათანადოდ და სრულად გამოედნო. რეგიონალურ და საკუთარ ინტერესებს შორის საჭირო თანაფარდობის მიღება ქართული პრაქტიკული პოლიტიკის ამოცანა მაშინაც იყო, დღესაც არის და მომავალშიც იქნება.


მომავალ ათწლეულებზე პროგნოზირების სირთულის კონტექსტში, გასული საუკუნის მეგაპროექტებთან შედარებით, დღევანდლობა კიდევ უფრო დაიხუნძლა აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი კომუნიკაციების სპეციფიკურობით. საჭირო ბალანსირება პოლიტიკური ხელოვნობიდან პოლიტექნოქმედების ხელოვნებაში გადაიზარდა, ხოლო მომარაგება-მოწოდების გლობალურ ქსელზე პოსტპანდემიურმა ეფექტმა და ევროპის შუაგულში მიმდინარე ომმა ქართული და რეგიონალური პოლიტიკა ახალი გამოწვევების გადაჭრის მზა „სახელმძღვანელოს“ გარეშე დატოვა. თუმცა, მიუხედავად თვისობრივად ახალი სირთულეებისა და ამოუცნობი პარადიგმებისა, მსოფლიო პოლი-

ტიკურ ეკოსისტემაში საქართველოსა და რეგიონის სხვა ქვეყნების ფუნქციის ქვაკუთხედი კვლავ არის სატრანსპორტო არტერიები, ენერგომატარებლებისა და კავშირგაბმულობის ტრანსპორტული ქსელები.

პოლუსიდან რე-პოლუსიამდე

ისტორიული ქართველების ფონზე რამდენიმე ათეული წელი დიდი დრო არ არის. მაგრამ თუკი იმ რეგიონის მრავალმხრივ სპეციფიკას გავითვალისწინებთ, რომელშიც საქართველო მდებარეობს, არცთუ ცოტაა. რეგიონული მეგაცვლილებების ფონზე რთულია სიტყვა არ გაგვეტყოს სხვადასხვა პროცესის აღსანიშნად, მაგრამ ამჯერად, სტატიის მიზნობრიობიდან გამომდინარე, კონკრეტირებას მხოლოდ სატრანსპორტო-საკომუნიკაციო თემატიკაზე განვაგრძობთ.

პოლიტიკურ-ეკონომიკური ხასიათის არაერთ საკვანძო ქმედებასთან ერთად, რომლებმაც ქართული ქეისის პოზიციონირებაზე კარდინალური გავლენა მოახდინა, ქართულ სივრცეზე გამავალმა ტრანსპორტული პროექტებმა ჩვენი ქვეყანა ორგანულად მიუერთა რეგიონალურ და გარე ეკონომიკურ სივრცეს. ნავთობისა და ბუნებრივი აირის მაგისტრალურ პროექტებზე



ბევრი დაიწერა და აქ ახალს ვერაფერს ვიტყვით, გარდა ერთისა: ამ პროექტებმა სასიკეთოდ შეცვალა ჩვენი ქვეყნის საგარეო პოზიცია და შიდა ურთიერთობათა გადაწყობაზეც იმოქმედებს. გასული საუკუნის 90-იანებში გაჩენილი ძალისხმევამ და მას შემდეგ წამოწყებულმა მსხვილმა პროექტებმა (სარკინიგზო-სახელმწიფო და სხვ.) საქართველოს თანამონაწილეობას სხვათა თვალში საჭირო ფუნქციონალურ-პრაქტიკული სარგებელი შესძინა. შედეგად, მომხმარებელიდან კონტრიბუტორად ვიქცით: ზოგან სრულად, ხოლო ზოგან შედარებით ზომიერად. მაგრამ მთავარი და უმთავრესი ის არის, რომ არათუ ფუნქცია შევინარჩუნეთ, არამედ ქვეყანამ საგარეო ასპარეზზე თავისი ხმა შეიძინა, ხოლო უსაფრთხოებისა და ეკონომიკური სარგებლობის თვალსაზრისით საკუთარი ინტერესების პროცესირება შეძლო, რაც ამგვარი ფუნქციონალური თანამონაწილეობის კიდევ უფრო დიდი შედეგია. მოცემულ ეტაპზე, ქართული სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების პროცესირება შედარებით წარმატებით ვითარდებოდა და ახლაც ვითარდება, თუმცა ეს უკვე ცალკე განხილვის საგანია.

ფაქტია, რომ გეოპოლიტიკურმა რეგიონალურმა სპეციფიკამ საკმაოდ მცირე დროის განმავლობაში გახადა შესაძლებელი მოსასმენად საამო ამა თუ იმ წამოწყებისა თუ ინიციატივის კონკრეტულ შედეგად გარდასახვა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა სატრანსპორტო და კომუნიკაციების სფეროებში. ამ მხრივ არც შუა დერეფნის მეგაპროექტია გამონაკლისი, რომელიც სავსებით ობიექტურად, თავის უნიკალურ ადგილს იმკვიდრებს.

შუა ღეროვანი: ის, რაც პიხით

ეს პროექტი იმ ინიციატივას შორის მოიაზრება, რომელთა მიზანი დასავლეთისა და აღმოსავლეთის უკეთ, ეფექტიანად და საიმედოდ დაკავშირებაა. შუა დერეფნის ირგვლივ განხილვებამ უკვე პრაქტიკულად გადაწყვეტილებათა ეტაპზე გადაინაცვლა, რომელთა ხელშეწყობა შედეგი უსაფრთხო და კომერციულად სარ-

ფიანი ტვირთის გადაზიდვის უზრუნველსაყოფად ჩინეთის, ცენტრალური აზიის, სამხრეთ კავკასიის (აზერბაიჯანი და საქართველო), თურქეთისა და ევროპის ურთიერთდაკავშირებული სატრანსპორტო სივრცით შეგვრა იქნება.

ნიშანდობლივია, რომ ცალკეული წყარო შუა დერეფნის პროექტს ე.წ. ერთი გზისა და ერთი სარტყლის ინიციატივას უპირისპირებს. არადა, ფაქტობრივად, შუა დერეფანი და „სარტყელი“ ერთიმეორის „თითქოსდა შემავსებელია“. აქ, სავარაუდოდ, ე.წ. წინააღმდეგობა სულ სხვაგან უნდა ვეძებოთ. კერძოდ, საკუთრივ ერთი გზისა და ერთი სარტყლის ინიციატივის სახმელეთო ვერსიის (მოგვეხსენება, რომ საზღვაო ვერსიაც არსებობს) რამდენიმე ვარიანტი არსებობს. მართალია, ეს ვარიანტები სულაც არ არის აუცილებელი ერთმანეთს გამორიცხავდნენ და შუა დერეფნის გამოყენებით აზია-ევროპის დაკავშირება „ერთ-ერთი“ ვარიანტადანია.

ცხადია, რომ ამ მასშტაბის ორი გეოგრაფიის დამაკავშირებელი „სარტყლის“ ყველა ვარიანტს სხვადასხვა გეოპოლიტიკური თუ გეოეკონომიკური აქტორი თავისი თვალთახედვის კუთხით განიხილავს. ამასთანავე, ქართული ინტერესების გადამოსახედიდან შუა დერეფანს სრულიად გამორჩეული და განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. სწორედ ამიტომ, ქართველი მკითხველისათვის საგანგებოდ აღვნიშნეთ „თითქოსდა შემავსებელი“ და „ერთ-ერთი“, რადგან ჩვენი ქვეყნის საშუალო და გრძელვადიანი ინტერესების კონტექსტში შუა დერეფანი რეალურად არც „შემავსებელია“ და არც „ერთ-ერთი“. საქართველოს მდგრადი და კონკურენტული განვითარებისათვის შუა დერეფნის პროექტი უპირობოდ ერთადერთი და უალტერნატივაა.

საკითხის სწორედ რომ ამგვარად დაყენებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს, რომელთა თაობაზეც შუა დერეფნის გამოწვევებთან შესახებ თავში ვისაუბრებთ. შესაძლოა მეტიც უცნაურიც, მაგრამ ამა თუ იმ პროექტის მნიშვნელობა მეტწილად თანმდევით პრობლემებისა და წინააღმდეგობების ფონზე უკეთ იკვეთება. ამდენად, შუა დერეფნის როლზე საუბარს სწორედ ასეთი მიდგომით გავაგრძელოთ.

პროექტის გამოწვევები მრავალმხრივია და მრავალსახიანი. მათი სიმრავლის მიუხედავად, ვფიქრობთ, ზოგადი ნიშნით კლასიფიკაცია მაინც შესაძლებელია. ხოლო, რადგან დახარისხება განვიზრახეთ, შუა დერეფნის რეალიზაციის გამოწვევებს სამ ძირითად ჯგუფად დავყოფთ, რომელთაგან თითოეული ან (1) უშუალოდ ტექნიკურ ოპერირებას უკავშირდება, ან (2) კონკურენტულ გარემოს, ანდა (3) უსაფრთხოების რთული ვითარებით არის გამოწვეული.

საოპერაციო-ტექნიკური

გამოწვევები

ამ მასშტაბისა და არეალის გეოგრაფიის ერთიან სატრანსპორტო სარტყელში მოქცევა მხოლოდ პოლიტიკური ნების დეკლარირებაზე როდია დამოკიდებული. ცხადია, რომ პროექტის, როგორც მიზნისა, წარმატებულობა, მრავალი საოპერაციო ასპექტისა თუ ტექნიკური ნიუანსის მოწესრიგებას მოითხოვს.

უმთავრეს გამოწვევას, ამ თვალსაზრისით, დერეფნის მთლიან გაყოფაზე ურთიერთდასახეობა და სინქრონიზებული საქმიანი ეკოსისტემის შექმნა წარმოადგენს. ეს კი მონუმენტურ შრომას უკავშირდება, თუკი გაეცხსენებთ, რომ დერეფანი რამდენიმე დიდ, საშუალო თუ მცირე, ერთმანეთისაგან პოლიტიკურ-კულტუროლოგიურად და ეკონომიკურ-სოციალურად განსხვავებულ ქვეყანაზეა გადაჭიმული. შუა დერეფნის ამჟამად არსებული ვერსიის მიხედვით, პროექტი მოიცავს ხუთი სახელმწიფოს სახმელეთო საზღვარს, მინიმუმ ერთ და მექსიკაში ორ ზღვას, რაც შესაბამისი პროცედურების, ნორმებისა და სტანდარტების პარამონიზაციას საჭიროებს.

შეუფრხვებელი ტრანსპორტირებისათვის სტანდარტების პარამონიზაციის გარდა, შესატყვისი ინფრასტრუქტურის გამართვაც არანაკლები გამოწვევაა. ამ მხრივ, შავი და კასპიის ზღვების ქვეყნებს რეგიონში ხელსაყრელი მიზნისგარეშე შექმნილი გლობალური ეკონომიკური სტრუქტურების მეტი ინტეგრირების დამატებითი შესაძლებლობა ეძლევათ. აგრეთვე ნიშანდობლივია, რომ ამგვარი ინტეგრირების შედეგი გახდება ამა თუ იმ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში, შიდა ეკონომიკური ურთიერთობათა გაუმჯობესება, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდა და საშუალო სტატისტიკური მოქალაქის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

ეს ყოველივე გადაუღახავ გამოწვევად რომ არ დარჩეს, შუა დერეფნის პროექტის სათანადო გამჭვირვალობის უზრუნველყოფაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ამ მიზნით, მეტად კონკრეტულ ღონისძიებათა შორის მოიაზრება მთლიანი მარშრუტისათვის პრეფერენციული ტარიფების შემუშავება და მათი უნიფიკაცია, სხვადასხვა გადამამუშავებისათვის იურიდიული დოკუმენტაციის ჩარჩო სტანდარტების დადგენა, შესატყვისი კოორდინაცია გადაზიდვის ოპტიმალური ვადების დასამკვიდრებლად და სხვ.

აქვე დავძენთ, რომ შუა დერეფნის ერთიანი საქმიანი ეკოსისტემის უზრუნველყოფისათვის, პროექტში მონაწილე ქვეყნებს მოეთხოვებათ ძალისხმევის შესახელმწიფოებრივ დონეზე გაერთიანება, რათა ჩინეთთან მომავალი ტვირთთაყადი მეტად მოიხდინონ. მაშინ, როდესაც ჩინური წარმომაქმნის ტვირთი „სარტყლის“ ნებისმიერი არტერიის სიცოცხლისუნარიანობას უდრის, შუა დერეფანზე ნაკადის მაქსიმალურად გადმოტანით ეს პროექტიც გაცილებით მეტ საოპერაციო ქმედუნარიანობას შეიძენს.

რეზო ავაშუალის
გარდაცვალებიდან
ერთი წელი გავიდა...

მცირე რეკვიემი

მინ იცის, რა ღრმად სჭირდება ღირსშესანიშნა თუნდაც, რომელიმე პოეტის ღონის და მნიშვნელობის შესტად განსაზღვრას? წელი? მრავალი წელი? საშუალო?

ჯერ მხოლოდ ერთი წელია, რაც რეზო ავაშუალის მშვიდად და ღირსეულად წავიდა ჩვენგან. დროის იმ აუცილებელ დისტანციაზე აქ მინიშნება არ არის, რადგან თავისი პირველივე პოეტური კრებულიდან უკვე აღიარებული და თაობათა საყვარელი პოეტი იყო... თუმცა, გარემოებებმა ამ დიდი ესთეტიკის და ლირიკოსის „საგანი პოეზიისა“ ნაწილობრივ შეცვალა პუბლიცისტური შტრიხებით, როგორც მტკივნეული, გაბრაზებული რეაქცია ჩვენი დროების ისტორიულ პროფანაციაზე, ფასეულობათა ნივთიერებაზე. ის დღეაღდა, როგორც არაფერი, აპროტესტებდა, როგორც არავინ...

უშედავითო მოთხოვნები ნომენკლატურის ჩინოვნიკებისადმი, ხელისუფლებისადმი, ჟურნალისტებისადმი მისგან დიდ სულიერ დაძაბულობას ითხოვდა... ამ

ამ თითქოსდა, სრულიად უშიშარმა ადამიანმა, ერთხელ ინტერვიუში მითხრა, რომ ეშინია სიკვდილის... ეშინია უახლოეს ადამიანებთან განშორების გამო...

ბოლო ხანებში ეს განცდა მის აფორიაქებულ ფიქრებს განუყრელად ახლდა... მასსოვს, იმ პერიოდში ვკითხე: „იქ“ აღარ გვექნება-თქო სამშობლო? მიპასუხა, რომ სამშობლოს ცნება უკვდავია და რაღაც ფორმით, ყველგან და ყოველთვის თან გვახლავს...

თუკი შეიძლება სიკვდილს საბოლოო როლი და ამაღლებული ცერემონიალი ვუწოდოთ, მან ეს მშვენივრად ჩაატარა თავისივე უკანასკნელი ლექსით... სწორედ ამ ლექსის სტრიქონები, უკვე ძალიან შეუძლოდ მყოფმა, თავის უსაყვარლეს შვილიშვილს და მეგობარს, მშვენიერ სოფოს უკარნახა ჩასაწერად და სთხოვა, ჩემთვისაც გადმოეწაგნა...


„მე ვდგავარ მზისკენ გაშვერილი მათხოვრის ხელით“... წავიკითხე და მერე დიდხანს და დიდხანს გაოგნებული ვფიქრობდი, რას უნდა ნიშნავდეს ამ ლექსის საოცარი სტრიქონები და დღესაც ამაზე ვფიქრობ... ამ დღეებში ბატონი რეზოს ქალიშვილმა ბაია ავაშუაშვილმა, რომელიც მამის მეგობრების უერთგულეს დამცველად გვევლინება, ბატონი რეზოს ულამაზესი მეუღლისადმი, ქალბატონ გულიკოსადმი მიძღვნილი, გამოუქვეყნებული ლექსი გამაცნო – „მე რომ მოგკვდები!“ ის 1960 წელსაა დაწერილი და ისევ ამქვეყნიდან წასვლის არსა და რიტუალზეა.

ლექსის თემა თითქოს აქაც სიკვდილია, მაგრამ დიდი სიყვარულის დადასტურებაა უფრო...

სიკვდილის განცდის სიღამაზედ და სიყვარულად გადაქცევის მისტერია... იქნებ სწორედ აქ არის, ამგვარ განცდებში ჩანს, ზოგადად პოეტის სხვათაგან განსხვავებული ხედვა და სულიერი თუ მორალური უპირატესობა?...

ის კი, რასაც ვარაუდების გარეშე, ზუსტად ვხვდებით, ასეთი პოეტები ჩვენგან არასოდეს მიდიან და სამუდამოდ რჩებიან არა მარტო ჩვენი შესაძლებლობებით აღიქმულ სივრცეში, არამედ საღდაც უფრო მყარად და ხელშეუხებლად...

ინო სოფარიძე



მე ვდგავარ მზისკენ გაშვერილი მათხოვრის ხელით!!!

მე დანის გზაზე გაიტანა მანქანამ შევლი და ასკილებმა აპრილამდე ჩაიყვანა ძაძა, მე ვდგავარ მზისკენ გაშვერილი მათხოვრის ხელით და ვითხოვ სიბოძს, მხოლოდ სიბოძს და არა ხანძარს!!!

აივნიდან გადმოფინეს მაქმანი ბევრი: უცხო მხატვარი ყაისნალით გაზაფხულს მაძავს და ვგავარ მზისკენ გაშვერილი მათხოვრის ხელით და ვითხოვ შევლას, ვითხოვ შევლას და არა ხანძარს!!!

მამულო ჩემო, ვერ დაგატყვევ შრომა და გარჯა, მითმაც ბედი მასხრად მიგდებს ბებერს და არჯალს, ცოტადა დარჩა, ალბათ ცოტა ზიანებამდე, თავად ჩავტოვებ ნეკნებს შუა შხამიან ხანჯალს.

მადლობელი ვარ, რაც იყო და ის რაიც დარჩა, აღარ ვაპირებ წუთისოფლის კარებთან ჩანჩალს, მორჩა ნაპირი, იქნებ იგი ნაპირიც არ ჩანს, მაშ, ეს ცხოვრება ხატი იყო, თუ მხოლოდ ხარჯა?!

აივნიდან გადმოფინეს მაქმანი ბევრი: უცხო მხატვარი ყაისნალით გაზაფხულს მაძავს და ვდგავარ მზისკენ გაშვერილი მათხოვრის ხელით და ვითხოვ შევლას, ვითხოვ შევლას და არა ხანძარს!!!

16 დეკემბერი. 2021 წელი.

მე რომ მოვკვდები...

გულიკო გაროძას!

... მე რომ მოვკვდები, შენ ამინთე თაფლის სანთელი, თეთრი ქაშვეთის ღვთისმშობლის ხატის წინაშე, და კი რამ გქონდა შენახული ჩემთვის სინაზე.... შენთა ბაგეთა ერთხელ წარსცდეს ჩემი სახელი.... - მე რომ მოვკვდები, შენ ამინთე თაფლის სანთელი!

მე რომ მოვკვდები, შენ ჩამრჩები ღია თვალეზში, - გაიყინება ჩემს გუგებში ღიმილი შენი, უთეთრეს კბილთა ფაიფურის სინაზის მჩენი.... მე რომ მოვკვდები, შენ ჩამრჩები სოველ თვალეზში, - მე თან მექნება სურათი შენი!.....

1960 წელი, ივნისი.



რეზო, ბაია, გულიკო...

და სხვა თვალსაზრისთა გამო ის უმეტესად მართოსულ ადამიანად რჩებოდა, მეგობრების ვიწრო წრეს თუ გამოვრიცხავთ...

რიტორიკულ შეკითხვაზე, ჩვენმა საყვარელმა პოეტმა-ლირიკოსმა თუ რატომ შეიცვალა ჩვეული ინტონაცია, გვპასუხობდა, რომ ეს მძიმე, მაგრამ იძულებითი ნაბიჯი გახლდათ და არსებული მდგომარეობის გამო მას, როგორც თავისი ქვეყნის მოქალაქეს, სხვანაირად აღარ შეეძლო.

ამგვარ საუბარში მაღალი პათოსის დასაგდებად კი მსგავს განაცხადს აუცილებლად თვითონიას მოაყოლებდა და იქვე გონებაშევიღწურ სატირას მათი მიმართ... აქაც უბადლო გემოვნება ჰქონდა...

ყველგან და ყველაფერში საიმედო, უსაყვარლესი პედაგოგი, ყველას ჭირსა და ლხინში გვერდით მდგომი, ადამიანი, რომლისგანაც ღალატი წარმოუდგენელია, გარეგნულად და სულიერად ერთნაირად ღამაში, რაღაც სხვანაირი ხიზლი აქვს და ეს ქალბატონი **ბენდიშა ავაშაძე**.

ჩვენი ქალაქის ნამდვილი სამკაული, რუსთაველების საყვარელი პედაგოგი სხვადასხვა დროს მუშაობდა რამდენიმე სკოლის დირექტორად, განათლების სფეროში სხვადასხვა წამყვან თანამდებობებზე, დღესაც მოქმედი პედაგოგია, ათასობით ახალგაზრდა ჰყავს აღზრდილი, ნებისმიერ აღსაზრდელს მომავლის იმედად უყურებს და ცდილობს ქვეყნის საკეთილდღეოდ გაწვრთნას.

ულამაზესი და უსასრულო მინდვრის ყვავილებით მიმოფანტულ საქართველოში ყოველგვარი არაუცემისგან გაწმენდილ, თავისუფალ, წინაპრების სულიერებით ამაღლებულ საქართველოზე ოცნებებს, საკუთარ პრინციპებს არ ღალატობს, მართალი

ცხოვრების საამაურო გზაზე

და პატიოსანია, მართალი გზით დადის... მასწავლებელიც ასეთი უნდა! საოცრად პოზიტიური, მომხიბვლელი, სანიმუშო მეგობარი, რასაც ეხება ყველაფერს ალაშაზებს, ნათელი სულის, ტრადიციების მოტრფიალე, საუკეთესო დედა ბებია, დიდი ბებია...

აქვს გასაღები, რომელიც ადამიანების გულის კარს აღებს. ღმერთი ადამიანების მცირე ნაწილს აძლევს ასეთ შანსს და ეს ქალბატონი გენრიეტა აბესაძეა.

ზოგი ისე ვკვება, თითქოს ქვეყანაზე არც ყოფილა, ზოგს კი ეძლევა შანსი, აკეთოს ასე დიდი საქმეები. ამ დიდებულ ქალბატონს ამ დღეებში დამადგებიდან 75 და პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა. გილოცავთ! მრავალუამერ! მად-

ლობა, რომ არსებობთ, მედმა ინება, შენი მეგობრები ვყოფილიყავით და გმადლობთ ამისთვის.

მზია ანთიძე, ნიჭიერი ახალგაზრდების ინტერესთა დამცველი და მხარდაჭერი ასოციაციის პრეზიდენტი;


ნათია შათირიშვილი, ყოფილი მოსწავლე;

ნათელა მუხლიშვილი, დამსახურებული არტისტი, რუსთავეის თეატრის მსახიობი;

ალბარი ლომიძე ქურნალისტი;

ზვიად სახენიაშვილი, ყოფილი მოსწავლე, საქართველოს საპარტიო რეზერვში ჩაბმული





ლექსის მიპატიჟებამ. მისევე ნაცვლად სამყაროში ამოჰყო თავი და თითქოს გუმანით მიხვდაო, სახელდობრ რომელი ლექსი მოხვდებოდა გულზე ქაქუცა ჩოლოყაშვილს, სწორედ ის ლექსი თქვა, თუმცა მისი გონება, რა თქმა უნდა, ვერ ჩასწვდებოდა დიდებული ქართველი პოეტის ერთ-ერთი შედევრის მრავალხმიანობასა და ქვეტექსტს.

აჩქარებით, სულმოუთქმელად კითხულობდა უკვდავ სტრიქონებს:

„იას, გნელს ხევი მოსულსა, დიდი ჯანდრავი ჰყარავდა, უნადა დიდხანს სიმოხსლე, წადილს აღარა ჰმალავდა: ინაგავოდა, ჰკრთავოდა, მისი სხივს ელ-ოდა გაღლითა, შეჰფოფინავდა საყვაროს გაგზავნილს თვალითა. მისი სხივი აკლდა, ელოდა, მგა აღარ ამოდიოდა...“

თამაზ ნატროშვილი

ვე წლისა იქნებოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი, როდესაც ეს ლექსი წაუკითხეს სოფელ ტიბანში. ქაქუცას ცრემლი მოადგა თვალებში დამ-ტანარ-მომავკდავი იის ხსენებაზე და, ვინ იცის, უმწეო ყვავილი არა მარტო სამშობლოს შეადარა გულში, ფრთხილად თუ განსჯიდა საკუთარ ზედს, იოლად შეეძლო, წარმოედგინა თავი ამ ლექსის პერსონაჟად.

ეგვმ ისიც ნატროშვილს ცხოვრებას შვიდი საუკუნით ადრე, გაუთხელი დაუანგული ხმლის მსგავსად, დაოგებულ ქარქაშში რომ ღაფავდა სულს და ანაქრონიზმად გამოიყურებოდა დუქნად გადაქცეულ ქვეყანაში.

ლიახ, იქ, მეთორმეტე საუკუნეში იყო მისი ადგილი. იქ, სწორედ იქ, სადაც დავით აღმაშენებლისგან მორჩულებული ქართველი ფეოდალები მორჩილად მოიხსენიებდნენ ერთიანი საქართველოს მეფეს, დიდი დავითის შვილიშვილს:

„არა არს ღრე დარგომისა ჩვენისა თჳსი-ნოფრ ლაგომისა და რგვინა...“; მეფე ყურს ათხოვებდა ქვეშევრდომთა ჩივილს და მისივე აღუსრულებდა საწადელს – მთარმის ოლთისი და ბანი, კარი და აშორნია, განძა და

პაპებთან და დასავლეთ ევროპის ხელმწიფეებთან. ერთფეროვან-მონოტონური კილოთი ევედრებოდნენ შეწევნასა და ხსნას. იმათ კი თავის ასატყვევლად საკუთარი გასაჭირიც ეყოფოდათ, და მარტოდენ ტკბილი სიტყვით უმასპინძლებოდნენ აზგარ მთხვეწელებს. იტალიელ მისიონერთა მოღვაწეობამ საქართველოში დიხასაც კეთილი ნაყოფი მოიხსა, მაგრამ კათოლიკურის სამედიცინო დახმარება არ იყო საკმარისი ქართლის წყლულთა განსაკურნებლად. ზემოხსენებულ ტრადიციას არ ვლატობდით მანამდე, ვიდრე ჩვენგანვე მოპატიჟებული ჩრდილოეთის სუხი მემოიჭრებოდა დარიალიდან.

არ ვიცი, ოდესმე თუ დაუწერია ვინმეს ესოდენ გულის აბაჩუყაველი სიმყვავი საქარტველომ ძველგდომებაზე, რომლისკი ვიფიქრო დღეს ვალე დანერა. აღმოჩენილეთის ქრისტიან მოქმეთა სახსნელად გულანეთელმა იტალიელმა პოლიტიკოსმა 1626 წელს რომის პაპს მიმართა ვრცელი მოხსენებითი გარამი, სადაც მოთხრობილი იყო ქართული ხალხის ვიწარნი.

იას, ბნელ ხევში მოსულსა...

ხმალ, დილაუთენია ჩემს სამშობლოში უნდა წავიდეთ, იტყობა ხოლმე დიდ-დაჩემი. არ იფიქროთ, რომ უცხო ქვეყნიდან ბრუნდებოდა საქართველოში. არაფერი ამის მსგავსი! იმ სოფლიდან, სადაც გაეთხოვეყნათ და ახლა ქმარ-შვილთან ერთად ცხოვრობდა, მისი სანახავად მიდიოდა იმ სოფელში, სადაც დაბადებულიყო და ფეხი აედგა. ხოლო მანძილი ამ ორ სოფელს შორის სულ რაღაც ხუთი კილომეტრი თუ იქნებოდა. კახეთში და, ვგონებ, ქართლში სიტყვა „სამშობლო“, უწინარეს ყოვლისა, მშობლიურ სოფელს გულისხმობს.

დიდებარემის „სამშობლოს“ ერთეა ტიბანი. სწორედ ამ სოფლის განაპირას მდებარე სახლში, რომელიც სანახევროდ ტყეში იყო შეჭრილი, ერთ მშვენიერ დღეს სტუმრად მისულ ქაქუცა ჩოლოყაშვილს ახალი რაკურსით გამოეცხადა ვაჟა-ფშაველას ცნობილი ლექსი და კიდევ ერთხელ შეეყარა ერთმანეთს ორი დიდებული ქართველი: ქართული პოეტური გენიის უზენაესი ავღვანება და ოდინდელი ქართული რაინდული სულის თვალნათელი ხორცშესხმა.

ვაჟა-ფშაველა უკვე აღარ იყო ამქვეყნად, მაგრამ განა შეაკუთოდებდა მისი ფიზიკური არყოფნა, როდესაც პოეტის სიტყვები მარადიულ სიცოცხლეს იხვევდნენ და ყოველ დროსა თუ ვითარებაში ჩაჰყვებოდნენ გონიერ მკითხველს მოძლევად და მეგზურად.

ალექსანდრე სულხანშვილის ვრცელ ნარკვევებში „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“ ვკითხულობთ, რომ 1922 წლის თებერვალში, სიღნაღის მარხის ერთ-ერთ სოფელში აღგილობრივმა ხელისუფლებმა, თბილისის ბრძანებით, დაატესადეს ქაქუცა ჩოლოყაშვილი. მაგრამ მისი მომავალი თანამებრძოლების ექვსკაციანი ჯგუფი თავს დაესხა სატესადლოს, გამოიხსნა წინამძღოლი და მასთან ერთად თელავის მხარისკენ გასწია, ალვანის ტყეებში თავის შესაფარებლად.

სწორედ ამ „შეფიცულთა“ პირველი ექვსეულის წევრი გახლდათ დიდებარემის დისწული ვასო თამაზაშვილი, რომელსაც (ვერ გეტყვით, 1922 წლის თებერვალამდე თუ მერე) სოფელ ტიბანში თავის მიძასთან მიუყვანია ორი საპატიო სტუმარი: ჩოხა-ახალუხში გამოჩენილი ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ევროპულად ჩაქმული მაშაკაცი, ასაკით ქაქუცას ტოლი, რომლის ვინაობა უცნობი დარჩენილა მასპინძელთათვის (რატომღაც ივანაუდეს, რომ ბაგრატიონთა გვარისა არისო).

სახლს უკან ვეფერთელა აკაკის ხე აღმართულა და სტუმრები ნიშანში სროლით იქცევენ თავს. ამასობაში სუფრაც გაიმლენა და იწყებოდა მოკრძალებული ლხინი, როგორიც დროჟამს შეეფერება.

და მერე ხდება მოულოდნელი შეხვედრა ვაჟა-ფშაველასთან. ოჯახის უფროსი ათიოდე წლის ყმაწვილი ლექსის წაკითხვას სთხოვს და ისიც დაუბარებლად ასრულებს თხოვნას. უცხო და უჩვეულო სტუმრების მოსვლით საკმაოდ დამორცხვებული ბაღლი გაათამამა სუფრაზე

ყმაწვილმა ბოლომდე ჩაიკითხა ლექსი და ყველამ შენიშნა, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილს ცრემლი მოსდგომოდა თვალებში. „ეს ლექსი ხომ საქართველოზე უთქვამსო“, – მოესმათ მისი ნაღვლიანი ხმა და მერე კარგა ხანს კრინტი აღარ დაუძრავს. ისეთი მძიმე სიჩუმე ჩამოეკრძალებოდა, თითქოს ახალი მიცვლებული ახსენესო.

აღნიშნული ლექსის მკითხველი იას, ალბათ, აღიქვამდა ჩვეულებრივ ილაც, ანდა მიამსგავსებდა ალაღმართალ კაცს, ვისაც ცხოვრებას უწამლავს შური და მტრობა. ვისაც ჩრდილივით მიჰყვება ის ბუნებრივი სიძულვილი, უკუღმართ ადამიანთა გულში რომ ბადებს პატიოსნებისა და ჭეშმარიტების გზით მავალთა მაგალითი.

ერთი სიტყვით, საკმაოდ ვრცელი ასპარეზი წარმოიქმნება პოეზიის მოყვარულისა და გამგებისათვის. მაგრამ ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ვაჟა-ფშაველას ლექსი გაშიფრა იმ ერთადერთი მეტაფორით, რომელიც ზუსტად შეესატყვისებოდა მის სულისკვეთებას. ეს ლექსი ხომ საქართველოზე უთქვამსო, მისევე აღმოხდა და, ვაჟასი არ იყოს, თხოუმეტი ათასი მჭევრმეტყველი პროფესორი რომ მოგეყვანათ, რწმენასა და აზრს ვერ გამოუცვლიდნენ.

თვით ვაჟა-ფშაველაც ერთგვარად კვრის უკრავს ქაქუცა ჩოლოყაშვილს, როდესაც თავის პუბლიცისტურ წერილში „სად არის პოეზია?“ სწორედ ისტან დაკავშირებით შენიშნავს:

„თავალს უყვარს, გულს ენი-აოროვნება მისი ნახვა, ცაჟრა, სოლო განვითარებას, აგრძნის პაპს იგი სხვა გვრს რასმე მო-აორონეს იმისად მისხდვით, რამდენად იღალატებდა პაპი, რამდენად სულთნად მიდიანია იგი. ნათუ ია გუჩქავით და ეალვით დარღილული არ მოგვამოვნეს დაიგზავს სიმატელს...“

მეზოხსენებული წერილი, სამწუხაროდ, უთარიღოა და ძელი სათქმელი არის, პოეზიაზე მაფიქრალი გარდაისახა ლექსად, რომელსაც „უნეგებო ყოფნა“ დაერქვა თუ პირიქით – სწორედ დასახელებულ ლექსს მოჰყვა თავისებური კომენტარი.

თუკი მეორე ვარაუდს გავიზიარებთ, თვალნათლივ დავინახავთ, რომ ვაჟა-ფშაველა, როგორც მის თავისუფალსა და მაღალ აზროვნებას ეკადრება, დამოუკიდებელი ინტერპრეტაციის ნებას აძლევს მკითხველს (მეგრეს რასმე მოგვაცოცხლესო), მაგრამ მაინც ხაზს უსვამს მთავარ ნააზრევს – დაჩაგრული სიმატელეო! ეს მეტაფორა ხომ მშვენივრად მიესადაგება როგორც ცალკეული ადამიანის, ასევე მთელი ქვეყნის ცხოვრების შინაარსს.

საინტერესო დამთხვევაა, რომ „უნეგებო ყოფნა“ პოეტს დაუწერია 1895 წელს, მაშასადამე 34 წლის ასაკში და, თუ არ ვცდები, ამდენი-

შარვანიო... და ქართველი მემკვიდრე ამაყად წარმოთქვამს: „**მსავითარი უცხო ლაგომი, რომლისა სიმამ არაოდეს ვის ენიშნა.**“

ჩვენდა საგალალოდ, ძელი საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური აღზევების პერიოდები მართოდენ ქართველ გმირთა მხარ-მლავეებით როდი იჭედებოდა. არანაკლებ, და შესაძლოა უფრო მეტადაც, მნიშვნელოვანი იყო საგარეო ვითარება, მეზობელთა სისუსტეც ანაყოფიერ-



იას, ბნელს ხევში მოსულსა, დიდი ჭანდრები ჰყარავდა, ეწადა დიდხანს სიცოცხლე, წადილს აღარა ჰმალავდა...

ებდა ჩვენს ძლიერებას, და როდესაც კავკასიას მოადგებოდნენ „მსოფლიო დამპყრობელთა“ ურდოები, ისინი წერტილს უსვამდნენ „ოქროს ხანასაც“ და ქართველთა უძლეველობის მითსაც.

იას, გნელს ხევი მოსულსა, დიდი ჯანდრავი ჰყარავდა...

ეს ლექსი ხომ საქართველოზე უთქვამსო. ცამდე მართალი ბრძანდებოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ჩანს, კარგად იცოდა საქართველოს წარსული და ასევე კარგად ესმოდა აწმყო თუ მომავალი.

მრავალმხრივ შეჭირვებულ საქართველოში უხსოვარ ჟამთაგან გამოყოლილი ტკბილი სიზმარივით აგონდებოდა ხოლმე დასავლეთი.

ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან დამკვიდრდა ერთი კეთილშობილი, ოღონდ საკმაოდ არარეალისტური ტრადიცია. ქართველი მეფეები და მღვდელმთავრები გულმოდგინედ მისდევდნენ გულის გამაწვრილებელ მიმოჩენას რომის

ვიფრო დღეს ვალე აღნიშნავდა, რომ საქარტველო მდგომარე იმავს თავს და მისი გმირული გრძოლა წარმოადგენს სასწაულს, ვინაიდან ყოველი მხრის-დან „უჩაქლო“ მტრებით გარგომო-რცხვოლი, ყოველგვარ დახმარებას მი-ვლავალი და გარტომდარტო მთენილი, ორ კალგულთან იმავრისა – სპარსეთსა და ოსმალეთს უმკლავდებო. ამიტომაც ქართველში არა გარტო ქმის დირ-სნი არიან, არამედ მთელი ქრისტიან-ული საყვარო დიდად დავალავალია მათგან აგვარი გნოგომოგისა და გულადომის გარტო, მაგრამ რომის უკლ-სიას დღემდე არ გახსენავია ისინი და მათი გიდისადმი გულგნოლობას იგნოსო.

იტალიელი პოლიგრაფი ევედრებოდა რომის პაპს, თქვენმა უწმინდესობამ ყველაფერი უნდა ილონოს საქართველოს შესწევნად და მთელი ქრისტიანული სამყაროს თვალში თქვენი უწმინდესობის სახელი და დამსახურება ღვთის წინაშე უზომოდ გაიზრდებო.

გაივლის ორი საუკუნე და სამშობლოს მწარე ხვედრით გულდაღონებული ქართველი პოეტი ვახტანგ ორბელიანი საყვედურით მიმართავს დასავლეთს:

„და დასავლეთის ქრისტის ვნო, თქვენი რას გვგვამოდით, რომცა ქრისტისთვის თქვენი თვალ-წინა, თქვენს პარს ვეყდვოდით? თქვენი ირაკლისა დიმი-ლითა თქვენს უკრავდით, რჩევას აძლევ-დით და ქმისა ტაშსა უკრავდით!“

საყვედურს ერთვის მძაფრი შეჩვენება:

„და გვილავსაც-კი ხომრად გავისთ გავი ვაჟადი! არ დაიდუგვას ისტორია, ნუ გაქვთ იმად! გართლადიდავალი წმიდა სისხლი პისარს გედვამთ, მაგ-რამ მოგვამთხვენ, მაგმირი როსმე გავაგამთ!“

უცხოელთათვის უცნობი ქართველი პოეტი თამამად ამისდგომია მხარში საყოველთაოდ სახელგანთქმულ პოლონელ პოეტს ადამ მიცკე-ვიჩს, რომელიც დაახლოებით იმავე ხანებში შემაძრწუნებელ წყევლა-კრულვას უთვლიდა იმავე დასავლეთს პოლონეთისა განწირვის გამო.

ლიახაც, აღტაცებული ქათინაურები და ბრძნული რჩევა-დარიგებანი ფრიად ემარჯვებოთ დასავლეთში. მაგრამ ისიც საკითხავია, ნეტავი ვისთვის შეუწუხებია თავი, რომ ვახტანგ ორბელიანის ლექსში მოყვანილი პრეტენზიები ჩავუყენოთ და მაინცდამაინც ჩვენთვის გამოვიტოხოთ არნახული და გაუგონარი კეთილშობილება.

საკმარისია გავისხენოთ მხოლოდ ერთი, შე-საძლოა ყველაზე ტრაგიკული ეპიზოდი მეორე მსოფლიო ომისა, როდესაც დასავლეთის მოკავშირეებმა 1944 წლის აგვისტოში აჯანყებული ვარშავა ღვთის ანაზარა მიაგდეს და თოფ-ხელყუმბარის ამარა დარჩენილი პოლონელი მებრძოლები ხელში შეატოვეს კიბოებამდე შეიარაღებულ ნაცისტურ ურჩხულს – ესეცელთა სატანკო ღივიზიებასა და გერინგის ავიაიკას. ამ შემთხვევაში საშკოთა კავშირს პასუხი რო-

გორ უნდა მოვთხოვოთ, განა ორჯერ ორიგინალური და გასაგები არ იყო მისი პოზიცია? ვარშავის ანტინაციონალური აჯანყებას ხომ ანტისამართა იერიშ დაჰყარა? ლონდონში მოკალაბებული პოლონელთა ემიგრანტული მთავრობის გეგმის მიხედვით, „არაფერი უნდა“ ჯერ საძულველი ვერმანები უნდა განედევნა პოლონეთის დედაქალაქიდან, მერე კი არანაკლებ საძულველი წითელი არმიის დახვედრის, როგორც ვარშავის შეუზღუდველი ბატონ-პატრონი და თანდათანობით მთელ პოლონეთზე გაეცრევიყენა თავისი ძალაუფლება. ამა, რატომ და რისთვის დაეხმარებოდნენ ამგვარი მიზნებით აღჭურვილი აჯანყებას, როდესაც წითელი არმიის კუდში უკვე მისდევდა მისივე წყალობით ქალაქ ლიუბლინში შექმნილი მთავრობა ახალი, სოციალისტური პოლონეთისა.

რაც შეეხება დასაუფლოს, მას შეიძლება დავწამოთ გულქვაობაც და უნამუსობაც, მაგრამ საიდან თუ ვიმსჯელებთ, უძლეურობა უფრო ეთქმის. განა გასაკვირია, რომ ინგლისელებიც და ამერიკელებიც ემოციებზე მაღლა აყენებდნენ პოლიტიკურ ანგარიშს (ემანდ სტალინი არ „გააჯანყოთ“, ვითუ გადაგვიდგეს და ჰიტლერს მაშინ ვილა დაამარცხებო!) და მეტი-თად ცდილობდნენ, თავიანთი დასადგურელი სისტემის ოდენობა მინიმუმამდე დაეყვანათ. ყოველივე ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ხუთწლიანი ოკუპაციით გატანჯულსა და მაინც ქედუხრელ პოლონეთს, მთელ ევროპაში წინააღმდეგობის სიმბოლოდ რომ იყო აღიარებული, თავად პოლონელთა მტკიცებით, მოეპყრნენ გაცილებით უარესად, ვიდრე ჰიტლერული გერმანიის სატელიტებს – იტალიას, რუმინეთსა და ფინეთს.

„საფრანგეთს ვთხოვოთ, გვიშველოსო, – სასაცილოა! შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰკიდია“, – ალბათ, მართლაც ასე ფიქრობდა იმედგაცრუებული სულხან-საბა ორბელიანი. მისი უნუგეშო დიაგნოზი სხვებსაც გამოადგებოდა.

„რამ გაგაფრანგათ?“ – კახეთში ეტყვიან ხოლმე ამჩატებულ-აყუნდრუკებულ ანდა უმნოდ ატეხილ კაცს (XVIII საუკუნის საქართველოში სიტყვა „გაფრანგება“ ნიშნავდა კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოქცევას, მაგრამ შემდგომში საერო-საღვთისმშობლო გადასხვაფერებულა).

1920 წლის დამლევს, ერთი ლიბის ასაგზავნად, მიუხედავად ნორვეგიული ფრთხილი ნანახისა და ინგლისელი მოგზაურების სანდოთა თაველმოდ-გული ქობაგობისა ცაშვით ხმით (საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის თაველმოდ) ათის წინააღმდეგ, უარი სტამბა საქართველოს ერთი ლიბის წავროგად და ანალოგიური მსაგრი გა-მოუტანა სოფლის, ლაშქრის, მსტრემისა და ლიბისა.

ინგლისელი ფიქერი ამბობდა საქართველოს შესახებ: „ეს გულადი, პატარა სახელმწიფო“; გმადლობთ, ბატონო ფიქერი!.. ნორვეგიელი ნანსევი უმურველად გვაძობდა: „ეს ბრწყინვალე, მცირერიცხოვანი ერი“; თქვენც დიდ მადლობას მოგახსენებთ, ბატონო ნანსევი!.. (სხვათა შორის, ცნობილი ნორვეგიელი მოგზაური 1925 წელს თბილისსაც ეწვია სტუმრად).

მთელ ამ ვენებათაღელვას თან ახლდა კურობული მომენტებიც. ასე მაგალითად – ავსტრალიის გაოცება: ჩვენგან ნეტავი რა გნებათ, სომხეთი რანაირად უნდა გადავარჩინოთ? ხოლო სალადორისა და ჰონდურასის მიერ „მორალური დახმარების“ დაპირე-

ბას, ზურაბ ავალიშვილის სიტყვით, კომიკური ელემენტი შეჰქონდა სრულიად ტრაგიკულ მდგომარეობაში.

საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა განაცხადეს, რომ თუკი საქართველოს გარედან ვინმე თავს დაესხა, არც ერთი ლიბა, არც მისი ეგიდით მოქმედი სახელმწიფოები არ დაიცვენ და არც ძალუდთ დაიცვან საქართველო.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ნოტაში აღნიშნული იყო, რომ მეგობრობისა და პატივისცემის გრძნობათა გამო აუცილებლად უნდა გადაიდოს ყველა გადაწყვეტილება, რომელთაც სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს რუსეთისათვის, კერძოდ, ყველა გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიულ სუვერენიტეტს.

გემოთქმულთან ერთად, ზურაბ ავალიშვილი იმომწმს გადმოცემას, რომლის სიმართლის შემოწმება უნდა დაეთანხმებოთ, მართლაც ძნელია, მაგრამ ძალზე წაავსოს სიმართლეს, ანუ სასეებით შეესაბამება ისტორიულ ალბათობას: თითქმისა და მოსკოვიდან ლონდონში ჩასულ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარს ლეონიდ კრასინს ავრძნობინეს (პირდაპირ თქმას როგორ იკადრებდნენ), რომ მოსკოვის მიერ დახლზე გადმოღებული უმთავრესი საქონელი – ბაქოს ნავთობი ძლიერ კარგავდა ფასს, თუკი სრულ განკარგულებაში არ ექნებოდათ საქართველოს ტერიტორიაზე გაყვანილი ნავთობსადენი და ბათუმის ნავსადგური. მაშასადამე, რუსეთს გადაკრულად მოუწოდებდნენ საქართველოს ანექსიას.

ცოტა ხნის შემდეგ, იმავე კრასინმა ამქრო მოსკოვს, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ლორდ-კორკმა კავკასია აღიარა სამჭოთა გავლენის სფეროდ.

ერთი მართალი ჰქონია ვინმეს, რომ შეიძლება პრაგმატული ფიზიონომია და საკლამოსი და „კაქს აგრიპანას“ დღევანდელი მსხვერპნი თუ დამაპნო ქრისტიანული სოლისკვეთებით არიან გამსჯალუნი?

...1924 წლის დამლევს, ავგისტოს აჯანყების დამარცხების შედეგად, ქაქუცა ჩოლოყაშვილი სასოწარკვეთილ ემიგრანტად ჩავიდა პარიზში, სწორედ იმ პარიზში, საიდანაც რაღაც გაურკვეველ შემწეობას ელოდა საქართველო. ნეტავი რას ელოდა, „გაფრანგებას“ თუ კრეისერებს? ძნელი სათქმელია, რას ელოდა, მაგრამ უნუგეშოდ კი ელოდა.

უნუგეშო ყოფნა, ასევე დაასათურა ვაჟა-ფშაველამ მწელ ხეში მოსული და დიდი ჭადრებით დაფარული ნაბი ყვავილის ამბავი.

„**ია სკანკოდა, კვდოდა, მიწას ვაგაროდა, გაღმა – კი ყვავილთა გზად საბოთხს უდაროდა**“, – დიდებული ქართველი პოეტი ნათელმხილველის თვლით ჭერეტდა ისტორიულ პანორამასაც და სამომავლო პერსპექტივებსაც.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნათელ ხსოვნას ქართული ხალხური პოეზია მაინც შემოგვინახავდა, თუნდაც დადუმებულიყვნენ იქაურებიც და აქაურებიც, თუნდაც ხმა არ ამოეღო არც მოყვარეს და არც მტერს:

რა ამრობს დედამიწასა, ნეტა რა ხეინავს ერსაო? დედა ხომ ვეღარ გაზრდიდა ჩოლოყაშვილის ფერსაო, მოძდ უდგა საქართველოსა, მტერი ვერ ახლავს ხელსაო...

ვითრით თუ ვიცინით უბადლო ხეფსურული ფოლკლორის ამ პაწია მარგალიტის ერთობ გულუბრყვილო ფინალზე?



რა ამრობს დედამიწასა, ნეტა რა ხეინავს ერსაო? დედა ხომ ვეღარ გაზრდიდა ჩოლოყაშვილის ფერსაო...

საქართველო რა სათქმელია, თავის ერთგულ „შეფიცულთა“ ერთ ნაწილსაც ვეღარაფერს უშვებოდა რაინდული საქართველოს უკანასკნელი მოპოვანი.

დიდდაჩემი უდიერი სიტყვებით მოიხსენიებდა ხოლმე ქაქუცა ჩოლოყაშვილს და თავის სამდურავს ამგვარად ამართლებდა: როცა აქედან წავიდა, ჩემი დისწული ვასო თამაზაშვილი აქ რატო დატოვა, რატო არ გაიყოლა, სიკვდილს რატო შეატოვა?

ობლად დარჩენილ დისწულს, ლამის უმცროს ძმად რომ ერგებოდა, დედის მაგივრობას უწევდა, თავს ევლებოდა, შვილივით უყვარდა, შვილებში ვერ არჩევდა. ამიტომაც ამბობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ულმომელ სამდურავს.

ღმერთმა შეუნდოს უსათნოს ქალს, თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე, შვილებსა და შვილიშვილებზე გადამკვდარმა, მუხლჩაუხრელ ჯაფამ რომ გაატარა და იმქვეყნად დაასვენებდა გადაქანულ ძელებს.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი უხმოეთო გადაიხვეს, ხოლო ვასო თამაზაშვილი, თამის ამხანაგებთან ერთად, კვლავ ჭყავი იყო გახიზნული. პაპაჩაში დროდადრო საჭმელ-სასმელთი ამარაგებდა „ყაჩაღად“ გაზრდილს. ერთხელაც ვასო

თამაზაშვილს უთქვამს: სხვა გზა აღარ არი, ჭყავი უნდა გამოვიდეთ და მთავრობას ჩავგარდეთ, ხალხი გვემოდება, ჩვენი ბულისთვის ამოვიყვანო, ერთი ლუკმა ვური ვინც გამოვიშვო, ათმაგად ავღვავინდო. პაპაჩაში გაუფრთხილვით: გიჟო, ეგ არა ქათა, თორემ ყველას ამოგვრისავენო. ამაოდ გარაჟო, ვერა და ვერ დაუარწმუნებია. ჰოდა, მოსახლენის გაღე მოხდა.

გადმოცემის მიხედვით, ჩვენს რწმუნებულმა კახეთში გოგი დეგდარიანმა (ალბათ, ზემდგომთა დასტურით) პირობა მისცა ვასო თამაზაშვილსა და მის ამხანაგებს, თუკი შემოგვირგდებოთ, სიცოცხლეს გაჩუქებთო.

ისინიც დაჰყავდნენ და მშვიდობიანი, გლეხური ცხოვრება ამტკბინეს უიმედო ზრდასა და ტყე-ღრეში უაზრო წაწაღს.

ცოტა ხნის შემდეგ, ადგილობრივმა ხელი-სუფლებამ საზემოდ დააგვირგვინა შერიგება – სოფელგარეთ, ბუნების წიაღში გაუმართა ლხინი ყოფილ „ყაჩაღებს“. და ზედკრულთ სწორედ სუფრაზე, აღმოსავლური ტრადიციისამებრ, გაუსწორეს ანგარიში (უნებურად გაგახსენდება ხალხური ლექსი ზურაბ არაგვის ერისთავის მკვლელობაზე საფურცლებში: აუცვავემენ სუფრასა).

სიმამ, შაჰაჰი ხილსაო! გილაღაგაგან, ზურაგო, ელიან ვინა კილსაო!

შემზარავ ტრავმების კიდევ უფრო უღვთო ეპილოგი მოჰყვა: მოკლულთა გვამები გათოკეს და გორაკიდან დაავრეს.

გოგი დეგდარიანმა სასტიკად იწყინა მომხდარი. ვეღარ აიბანა, ასე დაუნდოვლად რომ მოატყუას და ვაჟაქაშური სიძვრის გამგზავნად გამოიყვანეს ხალხის თვალში. სირცხვილად და სინდისის ქვენაშ თამაზაშვილი ნაბიჯი გადაადგმვინა. სანახვროდ გონდაკარგული, ნადილთა ნებას დაემორჩილა და მოსაკლავად მიუვარდა ლავრანში გერმას. მაგრამ იარაღშეგარეულს შიშ მიუშვავდა საქართველოს ჩაპას უფროსის მოადგილის კაპიტანად და თავისი ერთ დასახმამხამო გოგი დეგდარიანს გაუშვეს ურცხვად გასურავულ „ყაჩაღთა“ გზას.

...დიდდაჩემს, ეტყობა, სიკვდილამდე აწვალვდა მუხანათურად მოკლული დისწულის მწარე ხვედრზე ფიქრი. ამიტომაც სცადა, შეფარვით ეთქვა, შეფარვით „შეექო“ მისი სახელი და გულის ხემაილი ამგვარად განახორციელა: ჩემი დაბადების მოწმობის ასაღებად მამის მიერ რომ გაგზავნეს და სახელის არჩევაც რატომღაც მას მიანდეს, ჩანს, უმაღლეს გაახსენდა ვასო თამაზაშვილი. მაგრამ სახელის განმეორებას მოერიდა. ალბათ, იფიქრა, ჩემს შვილიშვილს იმის უბედობა არ დაემედოსო და შორი გზა მოიარა. საუუთარი სახელიდან წარმოქმნილი გვარი ისევ სახელად აქცია და დაბადების მოწმობაში ჩამიწერა.

ალბათ, მოურჩენელი ტკივილის დაამეზას ლამობდა და იმავე მოურჩენელი ტკივილით იყო გამოჩვეული დაუეჭვარი რაინდის აუგად ხსენებაც.

არ ვიცი, ვინ და როგორ გაიგვს დიდდაჩემის ნათქვამ სამდურავს, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ მწელ ხეში მოსული და დიდი ჭადრებით დაფარული უმწეო ყვავილის თავდადებული ტრფილი, რომელსაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი ერქვა, უდებოდ გაზრდილი ვაჟკაცის გულმოკლულ დედის, უთუოდ, გაუგებდა და მკერა, შეუნდობდა, ვინაიდან, ვაჟა-ფშაველას დარად, ისიც სხვა ცომისაგან იყო მოხეული.

ღმად ხომ ვეღარ გაზრდიდა ჩოლოყაშვილის ფერსაო...



შეფიცულთა რაზმი



„ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგემნი მტკბარად, წარმეტყვენ, გაქრნენ სიზმრები ჩქარად“!



გიორგი მაზნიაშვილი

მართლა იყო სოჭი საქართველო?

„სოჭი ჩვენი იყო“ – ამ ფრაზას საქართველოში ხშირად გაიგებ, მაგრამ რა საფუძველი აქვს ამ რწმენას? მართლაც იყო თუ არა ეს რუსული ქალაქი როდისმე საქართველოს შემადგენლობაში?

სოჭი აფხაზეთის გაყოფის შემდეგ, ადღე-რის ზევით მდებარეობს და რუსეთს, კრასნოდარის ოლქს ეკუთვნის. კლიმატი აქ ისეთივეა, როგორიც აფხაზეთში – სუბტროპიკული. ზაფხულში ტემპერატურა 25-26 გრადუსამდე თბება. ისევე, როგორც სოხუმსა და გავრას, სოჭსაც ერთ მხარეს შავი ზღვა, მეორე მხარეს კი კავკასიონის ქედი ესაზღვრება, ამიტომ ამ ქალაქებიდან ერთდროულად ზღვაც ჩანს და მთებიც. სოჭი საკმაოდ დიდი ქალაქია, ნახევარ მილიონამდე მოსახლეობით.

„ჩვენი სოჭი“

ისტორიკოსი ზურაბ პაპასქიანი ამბობს, რომ ძველი ქართული, საისტორიო ტრადიციით, რომელსაც ნაწილობრივ ძველი გერმანული და მიხანტიური წყაროებიც აღასტურებენ, კოლხეთის, ლაზიკისა და ეგრისის უკიდურესი საზღვარი იყო ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, ტუაფსეს მიდამოებში. ტუაფსე ასევე რუსეთის ზღვისპირა ქალაქია, რომელიც სოჭიდან დაახლოებით 120 კილომეტრით ზევით მდებარეობს.

„ეს იმას ნიშნავს, რომ ადღერისა და სოჭის მხარე სახელმწიფოებრივად კოლხეთის, ეგრისის შემადგენლობაში მოიაზრებოდა. იქ ვინ სახლობდა, ეს სხვა საკითხია, არ არის გამორიცხული, ქართველურ ტომებსაც ეცხოვრათ, რადგან იქ, ტუაფსეს მიდამოებში, დაფიქსირებულია ტოპონიმი „ძველი ლაზიკა“. „ძველ ლაზიკას“ ახსენებს მეორე საუკუნის ბიზანტიური წყარო და მეხუთე საუკუნის ანონიმი ავტორიც, – ამბობს ზურაბ პაპასქიანი, – უკვე დავითის ეპოქიდან კი ჩვენ გვაქვს ფორმულა „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“, ნიკოფსია ტუაფსეს მიდამოებია“.

ჯიქები და ჯიქითი

ჰიმნოდი – ასე მოიხსენიებს ისტორიული წყაროები ადგილს, რომელიც დღევანდელი სოჭის ტერიტორიასაც მოიცავს. მე-14 საუკუნეში სამეგრელოს სამთავროს ერთ-ერთი როლი სწორედ ჯიქების შეკავება იყო.

მეცნიერი მიხეილ რეხვიაშვილი წიგნში „იმერეთის სამეფო“ წერს, რომ 1533 წელს იმერეთის მეფის ბაგრატის ინიციატივით სამეგრელოში და გურიამ ჯიქებში ილაშქრეს. პირველი მრძოლა გავრასთან ჯიქების დამარცხებით დასრულდა. მეორე დღეს, ღალატის შედეგად, სამეგრელო-გურიის გაერთიანებული მხედრობა დამარცხდა. მრძოლაში დაიღუპა სამეგრელოს მთავარი მამია დადიანი, გურიის მთავარი მამია გურიელი კი, თავისი სამი ძმით, ეპისკოპოსით და ჯარით ტყვედ ჩავარდა. ამის შემდეგ საქართველომ ამ ტერიტორიაზე კონტროლი სამუდამოდ დაკარგა, თუ არ ჩავთვლით 1918 წლის ზაფხულს, როდესაც გენერალმა მამიაშვილმა სოჭი რამდენიმე თვით აიღო.

სოხუმი-სოჭი-ტუაფსე

„მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან სოჭში დასავლეთ საქართველოდანაც დასახლდა ხალხი. მეორე მათგანი ქალაქის მმართველობაშიც იყო. მამიაშვილის სწორედ ამიტომ გაუადვილდა სოჭის აღება“, – ამბობს ზურაბ პაპასქიანი.

1918 წელი – კავკასიის სამი ქვეყანა – საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, ამიერკავკასიის სეიმს ექვემდებარება. საქართველომ დღე-დღე დაიწყო იდეოლოგიის უნდა გამოაცხადოს. რუსეთში მეფე უკვე გადაადგეს, მაგრამ თეთრგვარდიელებსა და წითელგვარდიელებს შორის ჯერ კიდევ დაპირისპირებაა.

ისტორიკოსი დიმიტრი შველიძე ამბობს, რომ ამ პერიოდში საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებთან ძალიან მყიფე მდგომარეობა იყო. იქიდან ხან მოლშვიკური სამხედრო ნაწილები შემოდიოდნენ, ხან თეთრგვარდიელები – ალექსეევსა და დენიკინის ჯარის ნაწილები. სოჭი (და არა მარტო სოჭი) ხელიდან ხელში გადადიოდა.

„1918 წლის თებერვალში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ და ამიერკავკასიის სეიმმა საზღვარზე გენერალი ალექსანდრე კონიაშვილი და სამხედრო პირი ვალიკო ჯუღელი გაგზავნეს, თავიანთი წითელი გვარდით... და სოხუმი რუსული არმიისგან გაათავისუფლეს, – ამბობს დიმიტრი შველიძე, – როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ვითარება ისევ აირია. 1918 წლის ივნისში სოჭში ძალიან დიდი მითინგი შეიკრიბა. ქალაქის ხელმძღვანელობამ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას დახმარება სთხოვა“.

1918 წლის ივლისში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სოჭში ჯარი გაგზავნა, გენერალ გიორგი მამიაშვილის მეთაურობით. მამიაშვილმა ზედმედი აიღო ახალი ათონი, ხოსტა, ადღერი და 6 ივნისს – სოჭი. ერთი თვის მერე ქართული ჯარი კიდევ უფრო შორს წავიდა და ტუაფსეს დაიკავა.

„მამინდელი ქართული გაზეთები წერდნენ, ქართულმა ჯარმა 12-სათიანი მრძოლის შემდეგ ტუაფსე აიღო“, – დიმიტრი შველიძე ჰყვება, რომ ამ პერიოდში საქართველოს დასავლეთ საზღვართან მრიტანული მისია იდგა, რომელიც რუსეთში მონარქიის აღდგენას, შესაბამისად, დენიკინსა და თეთრგვარდიელებს უჭერდა მხარს. საქართველოს მთავრობა ფიქრობდა, რომ მრიტანული მისია წითელი გვარდიისგან დაიცავდა, ამიტომ დათმობაზე წავიდა და ჯარი ჯერ ტუაფსიდან, შემდეგ კი სოჭიდან გამოიყვანა. „ტუაფსე ერთი თვის თავზე დათმეს. სოჭიდან რამდენიმე თვის შემდეგ გამოვიდნენ“.

ისტორიკოსები ამბობენ, რომ მე-20 საუკუნეში სოჭში ჯერ კიდევ იყო დარჩენილი ქართული უზნები, ქართული სოფელიკი, მაგრამ ამ ყოფნის კვალი, ახლა მხოლოდ ისტორიულ ჩანაწერებს შემორჩა.

თეა თოფურია,

„რაიო თაფსუშუაბის“ ჟურნალისტი

საფრანგეთში საპენსიო რეფორმა გააპროტესტეს

საფრანგეთში კიდევ ერთხელ გააპროტესტეს საპენსიო რეფორმა. მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს ემანუელ მაკრონისა და მისი მთავრობის გეგმა, რომლის მიხედვითაც, საფრანგეთში 2030 წლიდან პენსიაზე გასვლა მოქალაქეებს, 62-ის ნაცვლად, 64 წლიდან მოუწევთ.

ამჯერად აქცია პარიზში გაიმართა და მასში ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ორგანიზატორების ცნობით, დემონსტრაციებში 150 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. პოლიცია კი ამტკიცებს, რომ მომიტინგეთა რიცხვი 12-14 ათასს არ აღემატება.

ასევე, რეფორმის მიხედვით, საპენსიო ფონდში შენატანის გაკეთება მოქალაქეებს 43 წლიდან მოუწევთ. ხელისუფლების პროგნოზით, 2030 წლისთვის საფრანგეთის საპენსიო ფონდში 20 მილიარდი ევრო დაგროვდება. გაფიცვების დროს დაიხურა ბევრი სკოლა, არ მოძრაობდა ტრანსპორტი, გაუქმდა ავიაჩრები.



გადაღბეს პრაიმერი!!



ესპანეთის პრემიერ-მინისტრის გადადგომის მოთხოვნით მადრიდში ათასობით ადამიანი აქციას მართავს. დემონსტრანტები პრემიერ-მინისტრ პედრო სანჩესს ესპანეთის კონსტიტუციისთვის ძირის გათხრებაში ადანაშაულებენ.

როგორც მედია წერს, ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, მადრიდის ცენტრში 30 ათასი ადამიანი შეკრებილი, ორგანიზატორები კი აცხადებენ,

რომ მიტინგზე 700 ათასი ადამიანია მისული. აქციის ლოზუნგია „ესპანეთისთვის, დემოკრატიისთვის და კონსტიტუციისთვის“. დემონსტრანტები პრემიერ-მინისტრ პედრო სანჩესს მოლაპატეს უწოდებენ და მის გადადგომას ითხოვენ. დემონსტრაციის ორგანიზატორები მემარჯვენე მოძრაობები და კონსერვატიული პარტიები არიან. მათ უკმაყოფილებას იწვევს მთავრობის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ამბოხის წაქეზებისთვის სასჯელი შემსუბუქდა. აღნიშნული მუხლით გასამართლებული არიან კატალონიის ყოფილი ლიდერები, რომლებმაც 2017 წელს რეგიონის ესპანეთისგან გამოყოფის საკითხზე რეფერენდუმი ჩაატარეს.

მთავრობის სანიმალეობა აქცია პრაიმერი

პრალაში მთავრობისა და პრემიერობის კანდიდატის, პეტრ პაველის საწინააღმდეგო აქცია იმართება. ჩეხური მედიის ცნობით, დემონსტრანტები ხელისუფლების გადადგომას ითხოვენ.

აქციის მონაწილეები ვაცლავის მოედანზე არიან შეკრებილები. მიტინგის ორგანიზატორია მოძრაობის „ჩეხეთი უპირველეს ყოვლისა“ ლიდერი ლადისლავ ვრამბელი, რომლის ორგანიზებითაც მანამდე არაერთი დემონსტრაცია გაიმართა. ვრამბელმა თავის გამოსვლაში ნატოსა და ევროკავშირის საწინააღმდეგო განცხადებები გააკეთა.

მოედანზე შეკრებილებმა ჩეხეთის მთავრობისა და პრემიერობის კანდიდატის, ნატოს ყოფილი გენერლის, პეტრ პაველის პოლიტიკა გააპროტესტეს. ბევრ დემონსტრანტს ხელში უჭირავს ეროვნული დროშები, ასევე პრემიერობის კანდიდატის, ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ანდრეი ბაბიშის მხარდაჭერი პლაკატები. პოლიციის შეფასებით, აქციაზე ასობით ადამიანია შეკრებილი.



აქცია პანალიზმში გადიარდა

პირში ანტისამთავრობო საპროტესტო აქციების მონაწილეებმა ისტორიული შენობა დაწვეს. დაშავდა 50-ზე მეტი აქტივისტი. თითქმის ერთი საუკუნის შენობას ცეცხლი მაშინ გაუჩნდა, როდესაც პერუს დედაქალაქ ლიმაში დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა. აქციის მონაწილეები ქვეყნის პრეზიდენტის, დინა ბოლუარტეს გადადგომას და რიგგარეშე არჩევნების გამართვას ითხოვენ.

ლიმაში გამართული აქციების დროს 58 ადამიანი დაშავდა. მათი ნაწილი საავადმყოფოში გადაყვანილი. პოლიციამ დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. აქციის მონაწილეები კი სამართალდამცავებს ქვეშ და ბოთლებს



ესროდნენ. პერუს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, დემონსტრანტებმა ცეცხლი წაუკიდეს ასევე ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, პუნოს რეგიონში მდებარე პოლიციის განყოფილებას. საპროტესტო აქციები პერუში პრეზიდენტ პედრო კასტილოს იმპიჩმენტის შემდეგ არ წყდება. კასტილო პარლამენტმა მას შემდეგ, გადააყენა თანამდებობიდან, რაც მან საკანონმდებლო ორგანოს დაშლა სცადა. შედეგად კი ქვეყანას სათავეში ახალი პრეზიდენტი დინა ბოლუარტე ჩაუდგა. ამჟამად პერუს ექვს რეგიონში კვლავ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი მოქმედებს.

შუა ღეროვნის მნიშვნელობა: შეუფასებლობა დაუშვებელია, გადაფასება - შეუძლებელი!

(მართხა გვარამია) ასევე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს შუა ღეროვნის საოპერაციო ქმედუნარიანობისათვის მისი ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტის – ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის დროული და სრული ამოქმედება. მე-გაპროექტის ერთიან კონტექსტში ამ საუკუნიგზო ხაზის მნიშვნელობით აიხსნება ოფიციალური ბაქოს ამასწინანდელი განცხადება დამატებით 100 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირების შესახებ, რაც ფინანსების უკმარისობის მომხმარებელს, ალბათ, საფუძველს გამოაცხადებს. აზერბაიჯანის ასეთი მზაობის დემონსტრირება ქართული მხარის მიერ შემხვედრი ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი მოტივაცია უნდა იყოს. ერთი სიტყვით, ბაქო-თბილისი-ყარსის დანიშნულება შუა ღეროვნისათვის იმდენად უნიკალურია, რომ აქ მხარეებს შორის ერთმანეთისათვის რაიმეს გადაზრუნვებით საუბარი, რბილად რომ ვთქვათ, უადგილოა.



ქონკურენტული გარემო

საშუალოდ წლის წინათ შუა ღეროვნის კონკურენტუნარიანობაზე მსჯელობისას ვიტყვით, რომ ეს მარშრუტი საგრძნობლად ჩამორჩებოდა ე.წ. ჩრდილოეთის მიმართულებას (ჩინეთიდან რუსეთის გავლით და, მაშასადამე, სამხრეთ კავკასიის გვერდის ავლით) და ჯერ კიდევ ალბათობით კონკურენციაში იყო სამხრეთის მიმართულებასთან (ჩინეთიდან ირანისა და ავღანეთის გავლით და აქაც – სამხრეთ კავკასიის გვერდის ავლით). დღეისათვის ვითარება მკვეთრად შეიცვალა, თანაც იმდენად, რომ კონკურენციის ფაქტორმა, თითქმის, აქტუალურობა დაკარგა. თუმცა გლობალური პროცესების მაქსიმალური დერეფნის მომხრეებს, ქართული მხარის ჩათვლით, შესაძლო ცვლილებებისათვის მუდმივი მზადყოფნის რეჟიმში კიდევ მრავალ წელს ამყოფებს. ეს არც არის გასაკვირი, თუკი გეოპოლიტიკის მაღალ არასტაბილურობას და არაპროგნოზირებადობას ვაგვიხსენებთ.

ასე თუ ისე, ფაქტია, რომ 2023 წლის დასაწყისში შუა ღეროვნაზე თავის კონკურენტებს „სძლია“ რამდენიმე გარემოების გამო.

ერთ-ერთია პოსტ-პანდემიურ ეკონომიკურ სტრუქტურაში გლობალური მიწოდება-მომარაგების ქსელის გადაწყობის მცდელობა. საქმე ისაა, რომ პანდემიის მოულოდნელმა ეფექტმა ამ ქსელის დივერსიფიკაციის საჭიროება წარმოქმნა, რაც დასავლეთის მიერ არაპროგნოზირებად ან, დასავლური გაგებით არაკუთილმოსურნე ქვეყნებზე დამოკიდებულების შემცირებას დაუკავშირდა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროპამ, ზოგან საკანონმდებლო, ზოგან კი საფინანსო ზომების გამოისიებით, რისკიანი გეოგრაფიებისაგან „ჩახსნა“ და საწარმოო ბაზის მიქსიზილურად დასაშვებ სიახლოვეში გადაიტანა განიზრახეს. ეს განსაკუთრებით ისეთ სასაქონლო ნომენკლატურას შეეხო, რომელიც კრიზისის ეკონომიკის პირობებში ამა თუ იმ ქვეყნის მდევობას განაპირობებს. შედეგად, აუცილებლობად იქცა ისეთი მარშრუტების იდენტიფიცირება, რომელთა გამოყენებით საქონლის მიწოდება „შანტაჟისა“ თუ „იდეოლოგიზებული“ ელფერისგან თავისუფალი იქნებოდა.

შუა ღეროვნის პერსპექტივის ზრდას, აგრეთვე, განსაკუთრებით ხელი შეუწყო მისთვის ყველაზე კონკურენტული ჩრდილოეთ მარშრუტის საკვანძო მონაწილის - რუსეთის მსოფლიო ეკონომიკური სტრუქტურებიდან ამოვარდნამ, რომელიც უკრაინაში ხელახალი შეჭრის გამო დასაწყვირდა. არადა, ჩრდილოეთის მიმართულება ამჟამინდელი ტენიონის გადაზიდვისათვის უკვე საკმაოდ აპრობირებული და უმოკლესი მარშრუტი იყო; ხოლო პანდემიის პერიოდში საგრძნობი გადატვირთულობის მიუხედავად, ფასისა და დროის მხრივაც მზარსი ოპტიმალურ მომსახურებას სთავაზობდა. ამას დაემატა ისიც, რომ უკრაინაში აგრესიის ფონზე რუსეთის ესა თუ ის „მიზნისშეთავაზება“ რეალურად

რუსულ საგარეო-სამხედრო ამოცანებს დაუკავშირდა, რამაც ტვირთგადამხილთა გარკვეული კატეგორიისათვის Business as usual პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა.

სანქციებით გამოწვეული უარყოფითი ეფექტისათვის, პრაქტიკულად, იმათივე განხორციელება იყო ე.წ. სამხრეთის მიმართულება, რისგანაც მას მხოლოდ ირანის ბირთვულ პროგრამაზე შეთანხმების განახლება (პიპოთეზურად) თუ იხსნიდა. მეტიც, ირანული ფაქტორით ბლოკირებული სამხრეთის მარშრუტი დამატებით, ახლა უკვე თალიზანი ავღანეთით განპირობებული გამოწვევით გატარდა. ამან კი, მსხვილი ნაკადის სამხრეთის გზით ევროპისაკენ გადაადგილებას გადაუღახავი დამრკოლება, ხოლო შუა ღეროვნის კი – დამატებითი უპირატესობა შეუქმნა.

წარმოქმნილმა გეოპოლიტიკურმა შედეგებებმა, ცხადია, უფრო აქტუალური გახდა შუა ღეროვნის სარეალიზაციოდ პოლიტიკურ-საფინანსო კაპიტალის მოზიდავება, ისე როგორც ამ სტატიაში ხსენებული საოპერაციო პრობლემების გადაწყვეტა. ომითა და პანდემიით გახსნილმა „შესაძლებლობის ფანჯარამ“ ქართულ პოლიტიკასაც მეტი პრაქტიკურობა დააქისრა ჩვენი ქვეყნისათვის განახლებული ისტორიული ფუნქციონალის მყარი (და განვრცობადი) მომავალში – შეუქცევადი) როლის რეაქტივიზებისათვის. ერთ დროს ალბათ ღრმა თეორიად მოაზრებული შუა ღეროვნის პროექტი და მასში ქართული მხარის მონაწილეობა ხელშეწყობა რეალურად იქცა.

უსაფრთხოება: როდესაც ყველა როლია კვალივით

როგორც წესი, მსხვილი პროექტის რეალიზება მხოლოდ წმინდა ეკონომიკურ განზომილებას არ განეკუთვნება და უსაფრთხოების მოსაზრებები მისი შენეებრივი თანხმდებელია.

ამ თვალსაზრისით, შუა ღეროვნის ინიციატივა, – მარშრუტის მეტად რთული გეოგრაფიული არეალისა და მის გასწვრივ მდებარე ქვეყნების გათვალისწინებით – არათუ გამოწვევას, არამედ უსაფრთხოების რთული და წინააღმდეგობრივი შრეებით იქნება სასე. ამჟამად ისიც, რომ ღეროვნის ქვეყნებს ორ დიდ ჯგუფად დაყოფს: ერთი თუ პროექტით სარგებელს მიიღებს, მეორე მისი რეალიზაციით მხოლოდ წააგებენ.

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევა განსაკუთრებით აქტუალური გახდა შუაგულ ევროპაში გაჩაღებული ომის, ისე როგორც ახლო აღმოსავლეთში განვითარებული პროცესების ფონზე. აქ საგანგებოდ არ ვვხებით შუა ღეროვნის ერთ მეტად კრიტიკულ – კასპიის ზღვის სტატუსის საკითხს. მართალია, ბოლო წლებში მის სტატუსთან დაკავშირებით საგრძნობი ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა ცალკეული სამართლებრივი ასპექტები ჯერაც მუდღეობს. ნებისმიერ შემთხვევაში, კასპიის ზღვის რე-

ჟიმი ცალკე კვალიფიკაციურ განხილვას მოითხოვს, ხოლო ამ სტატიაში მხოლოდ შუა ღეროვნის უსაფრთხოების გამოწვევებს განვაზოგადებთ.

პროექტის სპეციფიკა არა მარტო ვიწრო სატრანსპორტო, არამედ მის ენერგეტიკულ მდგენელშია. ამდენად, შესაბამისი ინფრასტრუქტურაც სხვადასხვა ოფიორულ თუ ონფორულ ინსტიტუციებს, დამაკავშირებელ ნაგებობებსა და საკომუნიკაციო არტერებს მოიცავს. ერთი სიტყვით, ეს არის უზარმაზარი გეოეკონომიკური სივრცე, რომელსაც ჯეროვანი დაცვა სჭირდება. ესოდენ მსხვილი პროექტის პირობებში კი ამსოლუტური დაცვით უზრუნველყოფას ზოგიერთი, ალბათ, პრაქტიკულად შეუძლებლადაც კი მიიჩნევენ.

შუა ღეროვნის კონკურენტუნარიანობის ნაწილში უკვე ვახსენეთ, რომ იგი ამ კუთხით ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებებთან განსხვავებულ მიმართებაშია. ერთი შეხედვით, ეს გარემოებას კი დიდ წილად განაპირობებს პროექტის მიმართ მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა გამოჩენას.

ჩვენს დროში აგრესიის აშკარა ფორმებისა და დიდ ქვეყნებს შორის კონფლიქტური ომის დაპირების მიუხედავად, მივიჩნევთ, რომ შუა ღეროვნის პროექტს საფრთხეს უფრო კვაზი-სახელმწიფოებრივი აქტორები უქმნიან, ვიდრე ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურები. ესეც იმ დათქმით, რომ ზღვარი „სახელმწიფოსა“ და „კვამის“ შორის დღეს უკვე წაიშალა, ხოლო „სახელმწიფო“ „კვამის“ იმავე სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების გასატარებლად იყენებს. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია რუსეთის გარეთ მოქმედი „ვაგნერის“ ჯგუფი და ირანის გარეთ მოქმედი ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსი. მით უფრო, რომ ბოლო ხანებში ოფიციალური სტრუქტურების მხრიდან ამ „შენიღებულ“ ფორმას გასაქანი მიეცა, ხოლო ტენდენცია მზარდი იქნება, როგორც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ტერორიზმის, ისე სხვა ლატენტური ფორმატების ფარგლებში. ხსენებული სამხედრო შენაერთების, გენგაბო, პრაქტიკული შესაძლებლობის, თუ, გენგაბო, სატრანსპორტო კომუნიკაციებზე მათ მიერ იერიშის მიტანის ალბათობის შეფასება ამ სტატიის მიზნებს მიღმაა. აქ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვსურს, რომ შუა ღეროვნისთან დაკავშირებული საფრთხეების განხილვისას შესატყვისი ინფრასტრუქტურის დაცვის უზპონენტი სკურულოზურად გასათვალისწინებელია. რა თქმა უნდა, არაერთმა ტრანსსასაზღვრო პროექტმა საკმარისი ცოდნა დაგვიტოვა. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ბაქო-თბილისი-ერზურუმის გამოცდილებაც ძალზე ღირებულია. თუმცა ფაქტია ისიც, რომ ტექნოლოგიები სწრაფად იცვლება და მათთან ერთად ასევე იცვლება ტერორიზმის, დივერსიის, სამოტაჟის ხერხები და მათი განხორციელების მეთოდოლოგია დიდად დაშორდა ორთოდოქსულ ერთ დროს ნაცვრამ „საოპერაციო კულტურას“. სწორედ ამიტომ, შესატყვისი კონტრზომები შუა ღეროვნის პროექტის შენეფიციარტაგან გაცილებით ფართო ინსტიტუციურ-სტრატეგიულ გააზრებას მოითხოვს.

(დასასრული მორიგ ნომერი)

ნიწო ხარატიშვილის ალიარება

მ წ ნ ა ლ ი , დრამატურგი და თეატრის რეჟისორი ნიწო ხარატიშვილი, რომელიც გერმანიაში მოღვაწეობს და ამ ენაზე მშობლიურად იყენებს, გერმანულ ენაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, რაინლანდ-პფალცის ფედერალური მხარის ლიტერატურული პრემიით, კარლ ცუკ-მაიერის სახელობის მედლით დააჯილდოვეს. ინფორმაციას თბილისში გერმანიის საელჩო ავრცელებს.



ქართველ მწერალს მედალი ქ. მაინცში ფედერალური მხარის პრემიერ-მინისტრმა, მალუ დრაიერმა გადასცა. ეს ჯილდო 1979 წელს მწერლისა და დრამატურგის, კარლ ცუკმაიერის ხსოვნის პატივსაცემად დაწესდა და გაიცემა „გერმანული ენისა და მხატვრული სიტყვისადმი დამსახურებისთვის“. ნიწო ხარატიშვილის რომანები მრავალ ენაზეა თარგმნილი და საკმაოდ ბევრი მკითხველი ჰყავს. წარმატებები ვესურვოთ ქართველ მწერალს!..

საქართველო ტრიესტის საერთაშორისო ფესტივალზე



21-28 იანვარს იტალიაში იმართება ტრიესტის საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელიც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი პრესტიჟული ღონისძიებაა.

ეროვნული კინოცენტრის ინფორმაციით, ფესტივალის საკონკურსო სექციაში (FEATURE FILM COMPETITION) გიორგი თვამიშელის ფილმის „მშენიერი ელენეს“ ევროპული პრემიერა შედგება. ფილმს მაყურებელი 25 იანვარს იხილავს და მას, საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, გადამღები ჯგუფიც დაესწრება. წელს, ინდუსტრიული კუთხით, ფესტივალის ე.წ. „ფოკუს ქვეყანა“ საქართველოა. მრგვალი მაგიდის ფორმატში გამართულ შეხვედრაში, რომელსაც კავკასიის რეგიონიდან კინოცენტრებისა და სხვა კინოორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრებიან, მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ეროვნული კინოცენტრის დირექტორის პირველი მოადგილე – მაკო ჭილაშვილი. 22-25 იანვარს ტრიესტის საერთაშორისო კინოფესტივალი უმასპინძლებს ინდუსტრიულ ღონისძიებას – „როდესაც აღმოსავლეთი ხვდება დასავლეთს“ (When East Meet West). ღონისძიების ფარგლებში გაიმართება სამუშაო შეხვედრები, ვორკშოპები და ტრენინგები, რაც კინემატოგრაფისტების პროფესიულ განვითარებასა და მათი პროექტების წარმატებით განხორციელებას უწყობს ხელს.

დუშეთის სახალხო თეატრის პარსკვლავი

იაკობ ტომი-პოლსკის სახელობის დუშეთის სახალხო თეატრის 143 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რასთან დაკავშირებითაც კულტურის სახლის წინ თეატრის ვარსკვლავი გაიხსნა. საზეიმო ღონისძიებას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ირაკლი გიგიაშვილი დაესწრა.



კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ღონისძიების ფარგლებში თეატრმა სხვადასხვა აქტივობას უმასპინძლა. მოეწყო თეატრის ისტორიის ამსახველი ფოტოგამოფენა, ხოლო თეატრის დასმა, თამარ პოპიაშვილის რეჟისორობით, გოდერძი ჩოხელის მოთხრობების მიხედვით დადგმული სპექტაკლი წარმოადგინა.

დუშეთის თეატრი ერთ-ერთი უძველესია საქართველოში მოქმედ სახალხო თეატრთა შორის. იგი 1880 წლის 20 იანვარს დაფუძნდა. პირველი სპექტაკლი კი გიორგი ერისთავის „გაყრა“ გახლდათ, რომელშიც მთავარი როლი ნატო გაბუნიაშვილმა შეასრულა. დუშეთის თეატრის სპექტაკლებში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ ქართველი სცენის ნამდვილი ვარსკვლავები: ვასო აბაშიძე, დუშეთში დაბადებული მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ნატო გაბუნია, ელისაბედ ჩერეჭიშვილი, ვალერიან გუნი, დიმიტრი ჩარკვიანი, ალექსანდრე კვასაძე, ავაკი ვასაძე, ავაკი ხორავა, ვასო გოძიაშვილი, იაკობ ტრიპოლსკი, ელენე ყიფშიძე და სხვები.

რუსუდან ძოგუია



ნარმატებით იმსახა

სარამბო ჩემპიონთა თასზე A ჯგუფის მე-4 ტურის მატჩი „პარლემენტისა“ და „პარესის“ შორის გაიმართა, რომლის მსაჯიც ქართველი ნიკა ამბუველი იყო.

ამაშუველმა მატჩს თავი კარგად გაართვა. პირველი ტაიმის ბოლოს მან ერთი შეხედვით საკმაოდ ეპიზოდური კარგად შეაფასა და სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც „პარესის“ სამხრეთაფრიკელმა მეორეხაზელმა, ებენ ეცემბერმა რაქმი ჩახსნილი ჯო მარლერის შეცდომით ისარგებლა, მეტოქის 9 ნომერს, დენი ქეას ბურთი მოპარა და ლელო დადო. მეტოქის პროტესტის მიუხედავად, ამაშუველის გადაწყვეტილება გამართლდა და ეს ვიდეორეფერემა დაადასტურა.

საბოლოოდ, მატჩი „პარლემენტისა“ გამარჯვებით, 39:29 დასრულდა. ინგლისელებმა მე-

ორე გამარჯვება მოიპოვეს, 12 ქულით მე-4 პოზიციაზე იმყოფებიან და 1/8 ფინალის საგზური ოფიციალურად გაინადღეს.

შეგახსენებთ, რომ ნიკა ამაშუველი წარმატებული სამსახურ კარიერა 6 ერზე გაგრძელებდა, სადაც ის საფრანგეთისა და შოტლანდიის დამხმარეობას გაუძღვება. ის გახდა პირველი რეფერი ტიერ 2 სარაგზო ქვეყნებიდან, რომელიც ამ ტურნირზე მიიწვიეს.

ნაღიჩაზა

6 მედალი ნიშიან

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა საფრანგეთის ქალაქ ნიკაში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე – ანრი დელანის გრან პრიზე 6 მედალი მოიპოვა – 2 ოქრო, 1 ვერცხლი და 3 მრინა.

ოქროს მედლის მფლობელები მერაბ სულეიმანიშვილი (97 კგ) და ნიკა მეურლაძე (125 კგ) გახდნენ, გიორგი ჭოლაძე (70 კგ) ვერცხლის მედალს დაეუფლა, გიორგი გეგელაშვილი (57 კგ), გიორგი ლონიაშვილი (61 კგ) და ვესე შველიძე (79 კგ) კი მრინა-ს პრიზიორები გახდნენ.

საქართველოს ნაკრები გრან პრიზე არასრული შემადგენლობით – 7 სპორტსმენით გამოვიდა.

ქართული

ტყევის მსროლელებმა წარმატებით იასპარეზეს ხორვატულ ოსიეკში გამართულ „დიდ პრიზზე“.

პნემატური პისტოლეტიდან სროლაში (10მ) გუნდურ ზეპირბრძოლაში ქალები ჩემპიონები გახდნენ, ხოლო ვაშეშმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ეს იყო სარეიტინგო ტურნირი, რომელიც მსოფლიოს რეიტინგში ჩასათვლელ ქულებს იძლეოდა, ამ სიის მიხედვით კი ოლიმპიადის ლიცენზიების გარკვეული ნაწილი გათა-



ოქროს, ბრინჯაოს

მაშღება. ჩვენმა სამეულმა – ნინო სალუქვაძემ, ლიზი კილაძემ და მარიამ ფროლიაშვილმა ოქროს მედლისთვის შეხვედრაში დიდი ანგარიშით – 17:3 დაამარცხა უკრაინა.

ვერცხლის მედალი სწორედ უკრაინელებს ერგოთ, ბრინჯაოს კი მასპინძელი ხორვატეთი დაეუფლა – დასკვნით პაექრობაში პოლონეთს 16:12 აჯობა. ჩვენებმა საკვალიფიკაციო ეტაპზევე დიდი წარმატებით ისროლეს – 851 ქულით გაიმარჯვეს და 5-ით გაუსწრეს მეორეზე გასულ უკრაინას.

თემატიკური

თურქული ოფლისდვრის მაღლი

თურქული შეკრების პირველი ეტაპი დაასრულა თბილისის დინამო, რომელიც ჯერ უკრაინის ჩემპიონატის ლიდერს დინამოს დაუხვდა – 3:3 (მოისწრაფიშვილი, კირკიტაძე, მექვაბიშვილი), ხოლო შემდეგ პლოვდივის (ბულგარეთი) ლოკომოტივს მოუგო – 2:0 (იმრანი, ხვადგანი).

წინასასემონო სამზადისის მეორე რაუნდი 26 იანვრიდან 10 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება და მომავალ სპარინგებში ქართული საკლუბო ფეხბურთის ფორმების მეტოქეთა ვინაობა მოგვიანებით გაირკვევა.

სულ გუნდის თავკაცმა გიორგი ჭიბრაძემ თავის გამომჩენის შანსი 26 შეგირდს მისცა და მათი ნუსხა ასეთია:

მეკარეები – კერესელიძე, კუტალაძე, მაქაყარიძე;

მცველები – ტაბიძე, ხვადგანი, მალი, კალანდაძე, ლაცაბიძე, უგრეხელიძე, კობოური, მაისურაძე;

ნახევარმცველები – სიგუა, მექვაბიშვილი, ოსიყმაშვილი, მოისწრაფიშვილი, კირკიტაძე, კამარა, ოსი, იმრანი, პარკაძე, გონსალევი, ოდიშარია;

თავდასხმელები – ბილენკი, სხირტლაძე, მარუშიჩი, იოშაშვილი (აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილთაგან 16 მოთამაშე(!) დინამოს აკადემიის აღზრდილია).



გიორგი ჭიბრაძე (დინამოს მთავარი მწვრთნელი): მიტეხი შეხვედრიდან კარგ მდგომარეობაში დაბრუნდნენ, შეკრების მთავარი დანიშნულება კი ის არის, რომ ფიზიკურად, ფუნქციონალურად და ტაქტიკურად ღირსეულად მოვემზადოთ.

ტრადიციისამებრ, ახალი სეზონის წინ უკვე დავიმართეთ ორი დემოტანტი და კიდევ ორთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, მაგრამ, რაც მთავარია, სრულად შევინარჩუნეთ ძირითადი მირთვი.

რაც შეეხება მეტოქეებს, შევარჩიეთ სამშობლოში გამორჩეული კლუბები და ვეცადეთ ისეთი სპარინგები გვექონოდა, როგორი მეტოქეებიც ევროპაში გვეყოლებოდა.

რომან ფიფია (დინამოს პრეზიდენტი): ჩვენ ბრძოლისუნარიან გუნდში ძალიან კარგი ატმოსფეროა შექმნილი და გამარჯვების ის ჟინი, რომელიც მიტეხს გამოარჩევს, იმის წინაპირობაა, რომ ევროსარბიელზე რაც შეიძლება შორს წავიდეთ და გავახაროთ გულშემატკივრები.

პანდემიით გამოწვეული ორწლიანი პაუზის შემდეგ ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ წლეულს ადვანდინოთ ვიტალი დარასელიას სახელობის ტურნირი, ხოლო დინამოში ძალიან სერიოზული ახალი სპონსორი შემოვა.

სერია ა

სკუდეტოს არჩილი

მთაწმის ჩემპიონატის პირველი წრე ნაპოლისთვის ზღაპრულად დასრულდა, რადგან დიდი უპირატესობით გამარჯვების პარალელურად ერთმაზად 15(!) ქულის ჩამოკლებით დასაჯეს მისი ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი – ტურინის იუვენტუსი, რომელიც წინა ტურში ლუჩანო სპალეტის გუნდმა ზედიზედ 8 მატჩის მშრალად მოგვების შემდეგ გადატეხა ხენსემალობა – 5:1.

მართალია, იმ შეხვედრის ქართველ გმირს სვიკა კვარაცხელიას ავადმყოფობის გამო ამჯერად არ უთამაშია, მაგრამ მისმა პარტნიორებმა მორიგი 3 ქულა აქ-

ტივში მაინც უპრობლემოდ ჩაიწერეს სტუმრად სალერნიტანასთან – 2:0 (დი ლორენცო, ოსიმენი).

მთლიანობაში პარტენო პეი ისეთ დალაგებულ ფეხბურთს გვაჩვენებს, რომ ძნელი სავარაუდოა, მას სკუდეტოს მოპოვებაში რამემ ან ვინმემ შეუშალოს ხელი, მაგრამ წინ მთელი მეორე წრეა და გამოიციხული არაფერია, მით უმეტეს, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ერთ თვეში ნაპოლის მეორე ფრონტის გახსნაც მოუწევს – მოგესხენებათ, იგი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ფრანკფურტის აინტრახტს შეეგმება და ვიმედოვნებთ, მანამდე კვარა სრულად გამოჯანმრთელდება და ოპტიმალურ კონდიციებს დაიმრუნებს.

მოკლედ, გაგრძელება მაღვე იქნება – 29 იანვარს ნეაპოლს რომა ეწვევა..

ტიტანები

ასეს უნდა მომხდარიყო

მაშ ასე – კრიტიკაზე რონალდუს არაბული კარიერა დაიწყო და თანაც, ვის წინააღმდეგ, თუ არა ლეო მესის, რომელთან დაახლოებით ოცწლიანი მეტოქეობა იცდამეფრთო საუკუნის დასაწყისის მთავარ საფეხბურთო მოვლენად იქცა.

ეს ერთიადი მოხდა, სადაც პარი სენ-ჟერმენმა ალ ნასრის პორტუგალიელი დემიურტანტის სავამოფერო მატჩი იქაური წამყვანი კლუბების კრებულს 5:4 მოუგო. აღსანიშნავია, რომ ანგარიში ნეიშარის ზუსტი გადაცემით აწ უკვე მსოფლიოს ახალმა არგენტინელმა ჩემპიონმა გახსნა, რა-

საც პირველივე ტაიმში მოგვიანებით შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებულმა ლუზიტანიელმა მომხდარიშმა ღუბლით უპასუხა.

და კიდევ – სიმბოლური ფაქტი: თანამედროვეობის მეგავარსკვლავთა პრინციპულ კონკურენციაში პირადი მონაგარი გათანაბრდა – მათ გაჭიანურებული ზეობის განმავლობაში ერთმანეთს 23-23 ბურთი გაუტანეს.

მესისა და რონალდუს სოლიდური ასაკის გათვალისწინებით ადვილი შესაძლებელია, რომ ეს მათი უკანასკნელი დუელი ყოფილიყო, თუმცა ვინ იცის.

სხვათა შორის, იმავე საღამოს ორი შედეგადი პასითა და გამოყენებული პენალტით თავი გოლების ფაბრიკად ჩამოყალიბებულმა მზამუმაქ ისახელა. ასე რომ, ცხოვრება გრძელდება.

მეგობრობა

სამ ფრონტზე

სანმომპე კრიზისის დაძლევის შემდეგ, რაც სერია-აში ვენეციასთან მიმდებარე გამარჯვებაში გამოიხატა – 79:78, გირტუსმა ზედიზედ მეორე მატჩი ევროლიგაში შინ პანათინაიოსსაგ მოუგო – 74:64, რაშიც სოლიდური წვლილი მოიწმინდა პენ-მალშიაშვიტანა – 16 ქულა, 2 მოხსნა, 7(!) შედეგიანი გადაცემა, 3 ჩაჭრა და 2 დაფარება.

როცა ჯგუფური რაუნდი დასკვნით ფაზაში შედის, აღნიშნულ წარმატებას მაშველი რგოლის მიშ-

ველება შეიძლება ეწოდოს, რადგან 9 გამარჯვება და 11 მარცხი ბოლონიელებს პლეი-ოფში გასასვლელად ბრძოლის გაგრძელების შანსს უნარჩუნებს. 27 იანვარს იტალიური კლუბი ვერმანიაში მიუნხენის ბაიერნს ეწვევა.

და რაც მთავარია – საქართველოს ეროვნული ნაკრების 29 წლის კაპიტნის მიერ ოპტიმალური კონდიციების აკრეფა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მუნხენის გადამწყვეტ შესარჩევ მატჩებამდე ერთი თვით ადრე – 23 თებერვალს ნიდერლანდებში და 26-ში შინ ისლანდიასთან.

კორტზე

მას შემდეგ, რაც ზღაპრული კარიერა დიდი სამეულის ყოფილმა ლიდერმა როჯერ ფედერერმა დაასრულა, სპორტულ სამყაროს ინტრიგად გრანდ სლემების რეკორდსმენის რაფაელ ნადალსა (22) და მისი უახლოესი მდევრის ნოვაკ ჯოკოვიჩის (21) სტატისტიკური მძიმეობები დარჩა.

მართალია, გრუნტის მეფე ჯერჯერობით ტიტულებით ყველას უსწრებს, მაგრამ ურთიერთშეხვედრებში მინიმალურ უპირატესობას მისი პრინციპული სერბი მეტოქე ფლორს – 30:29, ამიტომ სავარა-

ბრაზების ეპილეზია

ულო იყო, რომ ესპანელი ანგარიშის გათანაბრებას აესტრალიის ღია პირველობაზე შეეცდებოდა, მაგრამ...

მეორე წრეში საქმეში ტრავმა ჩაერია, რამაც მალიორკელი აიძულა ტურნირი დაეტოვებინა და მიზნის მიღწევაზე ფიქრი სამომავლოდ გადაეღო.

ალბათ, მედის ირონიაა, რომ მსგავსი პრობლემა მაღვე ბალკანელ ჯადოქრსაც შეეცმნა, რო-

მელმაც, მართალია, საბოლოოდ მაინც გაიმარჯვა, მაგრამ ბარძაყის ძველი ტრავმის გამიზნება რამდენად მისცემს მწვანე კონტინენტზე თამაშის გაგრძელების საშუალებას, სადაც აქამდე 9-ჯერ(!) აქვს მოხვეჭილი მთავარი პრიზი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, უფალი და ფიზიოთერაპევტი გადაწყვეტენ. მესამე წრეში ნოლემ ბულგარელი გრიგორ დიმიტროვი დაჯახა – 3:0..

კლინიკას, რომელიც მედიკოსებს მიეძღვნა ხელფასს არ გააუხდის, შესაძლოა, საქმიანობა შეუჩერდეს!

თუკი დადასტურდება, რომ კლინიკის მენეჯმენტმა მედიკოსებს საშუალო პირობებში მიწოდებული ხელფასის გადახდაზე თანხის არიდების მიზნით გაუაღრმავა, სანქციები ამოქმედდება, – ამის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მიცემულ ინტერვიუში შრომის ინსპექციის ხელმძღვანელმა გეტა ფერაძემ განაცხადა.

შეგახსენებთ: გურამ აზარაშვილმა რამდენიმე დღის წინ თქვა, რომ არის სამუხარულო შემთხვევები, როდესაც კლინიკების ხელმძღვანელებმა ექთნები იძულებით გადაწყვეტს უფრო დაბალ პოზიციებზე, რათა მათ მინიმალური საათობრივი ანაზღაურება არ გადაუხადონ. გეტა ფერაძე ადასტურებს, რომ მისი უწყების ცხელ ხაზზე და სხვა პლატფორმების საშუალებით ექთნებისა და ექთნების მხრიდან მსგავსი შინაარსის საჩივრები შევიდა. კერძოდ, ფერაძის თქმით, საჩივრებში საუბარია ექთნის ან ექთნის უფრო დაბალ პოზიციებზე გადაინიშვნის შესახებ. მისივე განცხადებით, ამ საქმეებზე მოკვლევა უკვე დაიწყო და თუ ფაქტი დადასტურდება, ეს ჩათვლება დარღვევად, რადგან დასაქმებულის სა-



მუშაო პირობების გაუარესება მისი თანხმობის გარეშე არ შეიძლება. „თუ აღმოვაჩენთ, რომ ადამიანებს შრომითი პირობები გაუარესდათ იმის გამო, რომ არ მიეღოთ კუთვნილი ხელფასები, ამას შენეზობთ, ჩავთვლით დარღვევად. დარღვევა გულისხმობს როგორც დაჯარიმებას, ისე თანხის დაკავებას. ასევე შეიძლება იყოს საშუალო პროცესის შეჩერება – გააჩნია დარღვევის სიმძიმე. იმ შემთხვევაში, თუ ეს ფაქტები დადასტურებულია იქნება,

ჩვენ დავავალდებოთ სამედიცინო დაწესებულებებს, სრულად აანაზღაურონ ის თანხა, რომელიც დასაქმებულისთვის უნდა ჩაერიცხათ და ყოველი გადაცილებული დღისთვის იქნება თანხის 0,07%.“ – განმარტა გეტა ფერაძემ და მოუწოდა დასაქმებულებს, მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში შრომის ინსპექციის ცხელ ხაზზე 1575-ზე დაურეკონ. მისი თქმით, ზარის ავტორის კონფიდენციალურობა დაცულია.

რაც შეეხება მინისტრის განცხადებას, ზურაბ აზარაშვილის თქმით, მინიმალური ანაზღაურების სისტემის შემოღების შედეგად ექთნის ხელფასი სულ მცირე 500, ხოლო ექთმის 1000 ლარი გახდა.

მისივე განცხადებით, ამ რეგულაციის აღსრულების მონიტორინგი შრომის ინსპექციის დაეკისრა. მართალია, ჯერ თვე არ დამთავრებულა და, შესაბამისად, არც ჩარიცხვები და იანვრიდან ამოქმედებული წესის შესრულების შესახებ მონაცემები არ არსებობს, თუმცა მედპერსონალის მხრიდან შრომის ინსპექციაში საჩივრები უკვე შედის.

„ექთნის რომ რაღაც სხვა პოზიციებზე გადაინიშნავთ იმისთვის, რომ 500 ლარი არ მიეცეთ ხელფასი, საერთოდ რა ეთიკურია ამა და ადამიანობაზე შეიძლება ვისაუბროთ? 150 ლარის დამოკიდებულება? 150 ლარის დამოკიდებულება? ამაზე შრომის ინსპექცია დეტალურად მიყვება. ჩარიცხვები ჯერ არ ყოფილა, რადგან თვე ჯერ არ დასრულებულა და როცა გვექნება პირველი შედეგები, შრომის ინსპექციის კონკრეტული რეაგირებები ექნება საკუთარი მანდატის ფარგლებში.“ – განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა.

ბახსენება

ლემბ ბანსაპლული მეცნიერი, ახალგაზრდობის დიდი მეგობარი



ლემბ ბახსარაძე

40 დღე გავიდა ცნობილი ქართველი მეცნიერის, პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის, მინერალური რესურსების, ეკოლოგიის და სიცოცხლისუნარიანობის უსაფრთხოების საერთაშორისო აკადემიების ნამდვილი წევრის, საქართველოს ფიზიკა-მათემატიკის და საინჟინრო აკადემიების ნამდვილი წევრის, მინერალური რესურსების საერთაშორისო აკადემიის საქართველოს ნაციონალური განყოფილების ვიცე-პრეზიდენტის, საქართველოს დამსახურებული გამომგონებლის, ბრიგადოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლემბ ბახსარაძის გარდაცვალებიდან.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1961 წელს მიენიჭა სამთო ინჟინერ-ელექტრომექანიკოსის კვალიფიკაცია. ამავე წელს დაიწყო შრომითი საქმიანობა საპროექტო ინსტიტუტში „საქეპროშხტი“. 1962 წლიდან სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა გრიგოლ წულუკიძის სახელობის სამთო ინსტიტუტში, სადაც განვლო გზა ინჟინრიდან დირექტორის მოადგილემდე. 1985 წელს ლ. ბახსარაძეს მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად ლ. ბახსარაძე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე სამთო მანქანების, მადაროს სტაციონარული დანადგარებისა და ტრანსპორტის მიმართულებით. 1970-1986 წლებში იყო ამ მიმართულების დოცენტი, 1986 წლიდან – პროფესორი. 2015 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტში ხანგრძლივი, ნაყოფიერი პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისათვის მიენიჭა ემერიტუსის აკადემიური წოდება.

ბატონი ლემბი მრავალი საერთაშორისო, საკავშირო, რესპუბლიკური კონგრესის, კონფერენციის, სიმპოზიუმის მონაწილე იყო. მისი მოხსენებები მიღწეულია ტრანსპორტისა და სამთო ელექტრომექანიკის აქტუალურ პრობლემებზე ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში.

მისი ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია მრავალი სადისერტაციო ნაშრომი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატისა და ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხების, აგრეთვე მაგისტრის და დოქტორის აკადემიური ხარისხების მოსაპოვებლად. მის მიერ აღზრდილ ქართველ სამთო მექანიკოსთა თაობებიდან მრავალი ცნობილი მეცნიერი და სპეციალისტია.

იგი არის 286 სამეცნიერო სტატიის და 127 გამოგონების ავტორი. ბატონი ლემბის მიერ შესრულებული თეორიული კვლევების და ტექნიკური გადაწყვეტილების ძირითადი შედეგები შეტანილია „სითხის მექანიკის ენციკლოპედიაში“ (ტომი 5, თავი 10, „მოდერნიზაციის ნაკადის ტექნოლოგია“, აშშ, 1986 წ.).

მეცნიერებაში და ტექნიკაში მოღვაწეობის სფეროს მიმართულებებით განსაკუთრებული წვლილის შეტანისთვის ლ. ბახსარაძის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია შეტანილია ენციკლოპედიაში „სამთო ელექტრომექანიკა“ (ტომი 1, უკრაინა, 2008 წ.).

ქართულ საინჟინრო მექანიკის მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისათვის ლემბ ბახსარაძის ძირითადი მონაცემები შეტანილია მათემატიკური მეცნიერების და საინჟინრო მექანიკის დარგში მოღვაწე ქართველი მეცნიერების ბიბლიოგრაფიულ ცნობარში (თბილისი, 2016 წ.).

დარგობრივ მეცნიერებაში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის ბატონ ლემბს მინიჭებული აქვს: სამთო ტექნოლოგიების დარგში – ელიზბარ მინდელის სახელობის პრემია (2013 წელს), სამთო მექანიკის დარგში – არჩილ ძიძიგურის სახელობის პრემია (2014 წელს) და სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების და გადამამუშავების დარგში – გრიგოლ წულუკიძის სახელობის პრემია (2018 წელს).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონ ლემბის ადამიანური თვისებები: პატიოსნება, სამართლიანობა, ღრმა განსწავლულობა და პროფესიონალიზმი, შრომისმოყვარეობა, პრინციპულობა, საქმისადმი და ახალგაზრდობისადმი უდიდესი სიყვარული და პასუხისმგებლობა, რითიც დიდი პატივისცემა მოიპოვა კოლეგებსა და მრავალრიცხოვან მოწაფეებს შორის.

მისი სსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი ახლობლების და კოლეგების გულში.

სსიპ ბრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი

კობე მარღალიშვილის სახელს ეს არ ეკადრება!

22 წლის ახალგაზრდა ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელსაც მუხლის ღრუდან ჩარჩენილი სამედიცინო ინსტრუმენტი ამოუღეს, სტაბილურია!

მეუღლის თქმით, ქალი თავს უკეთესად გრძნობს. „უკეთესობისკენაა, გამოჯანმრთელებისკენ. ყურადღებით არიან. ჯერჯერობით კლინიკაში რჩება და ჩვენი მოთხოვნაა, რომ ბოლომდე მიხედონ პაციენტს, როგორც საჭიროა და ადამიანის ჯანმრთელობით არ იხუმრონ... ჯერ ჩემი მეუღლე ფეხზე ადგეს და მერე დაველაპარაკებო ყველას“, – აცხადებს ახალგაზრდა გოგოს მეუღლე. „ოპერაციამ სამედიცინო ძალიან კარგად ჩაიარა. იმედი მაქვს, რომ მალე გაწერეთ ბინაზე“, – განუცხადა „ინფო რუსთავს“ მარღალიშვილის სახელობის სა-

მედიცინო ცენტრის ხელმძღვანელმა გიორგი ლოლაძემ. შეგახსენებთ, 22 წლის ქალს მაკრატელი მუცლის ღრუში ერთი თვის წინ გაკეთებული ოპერაციის დროს ჩაუტოვეს. პაციენტის ოჯახის წევრების თქმით, ქალს მთელი ეს პერიოდი აწუხებდა ტკივილები, თუმცა ტკივილის მიზეზის დადგენა მხოლოდ 20 იანვარს ჩატარებული კვლევების შედეგად მოხერხდა, 20 იანვარსვე რუსთავის მარღალიშვილის კლინიკაში მას გაუკეთდა ოპერაცია.

„ძალიან ცუდი ფაქტია. კლინიკაც და ექიმებიც სრულ პასუხისმგებლობას იღებს ამ პაციენტის და მისი ახლობლების წინაშე. ამას არავითარი გამართლება არ აქვს, მაგრამ ათასში ერთი შემთხვევა ხდება, არსებობს ასეთი სტატისტიკა. ახლა მამშვიდებს ის ფაქტი, რომ პაციენტის მდგომარეობა ნორმალურია და იმედი მაქვს, რომ მალე ბინაზე გავეწერთ. რა თქმა უნდა, ვინც დასასჯელია, დაისჯება. აქ არ არის ერთი ადამიანის შეცდომა. ეს არის კოლექტიური შეცდომა. გასამართლებლად არ ვამბობ, მაგრამ 9 საათზე მეტხანს გრძელდებოდა ოპერაცია და კოლექტივი გადაღლილი იყო“, – ამბობს გიორგი ლოლაძე.

ბანსხალაბა

თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელთა კრების 2023 წლის 26 იანვრის დღის წესრიგს დაემატა საკითხი: თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის შპს „ბანგინოს“ ბალანსზე რიცხული და კოოპერატივის ბალანსზე რიცხული სტანისლავსკის ქ. 11-ში და მუხიანში მდებარე უძრავი ქონების გასხვისების შესახებ.

კოოპერატივის
გამგავი


ბანსხალაბა

2023 წლის 14 თებერვალს, 12 საათზე, ჩატარდება სააქციო საზოგადოება „ოპიზარის“ აქციონერთა საერთო კრება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მ. წინამძღვრიშვილის ქ. №121.

დღის წესრიგი:

1. 2022 წლის ბალანსის შედეგების განხილვა; (მომხს. გ. გუმბერიძე).
 2. აქციონერების მიერ საკუთარი წილების გასხვისების შესახებ შპს „უნი-2“-ზე საბოლოო ინფორმაციის გაცნობა.
 3. სხვადასხვა საკითხები.
- ს.ს. „ოპიზარის“ აქციონერთა რეგისტრაციის სააღრიცხვო დღეა 2022 წლის 31 დეკემბერი.
- დღის წესრიგთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება ამცირდება შემოსავლიან სააქციო საზოგადოება „ოპიზარის“ დირექტორთა. ტელეფონი 598555999.

დიდი მეზღაპრის იუბილე მწერალთა სასახლეში



25 იანვარს, ოთხშაბათს, 18 საათზე, მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის №13) სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება გიწვევთ გამოჩენილი მწერლის გურამ პეტრიაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო შეხვედრაზე.

მომხსენებელი ლეონ ბრეზაძე.
დასწრება თავისუფალია.

პუტინის სიკვდილის დაპაღპა შეუძლებელია



რუსმა უფლებადამცველმა მარკ ფეიგინმა OBOZREVATEL-თან ინტერვიუში თქვა, რომ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის გარდაცვალება თანამედროვე რეალობაში არ შეიძლება დამალული იყოს.


„თუ პუტინი მოკვდება, გვერდი ადამიანი, თუნდაც მის გარემოცვაში, დაინტერესდება იმით, რომ ეს ინფორმაცია საჯარო გახდეს. დღევანდელ ციფრულ სამყაროში ასეთი სიტუაცია. პუტინის სიკვდილთან ერთად ძალაუფლების მთელი პირამიდა დაინგრევა“, – აცხადებს მარკ ფეიგინი. უფლებადამცველს მიაჩნია, რომ ასეთი ინფორმაციის დამალვა შეუძლებელია.

რუსი დიქტატორის საგარეო გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია მედიაში რეგულარულად ვრცელდება, თუმცა, ახლახან ეს ჭორები უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმაც გაამყარა. ზელენსკის თქმით, ის ბოლომდე დარწმუნებული არ არის, რომ პუტინი ცოცხალია. ზელენსკის საპასუხოდ, პუტინის პრესმდივანმა დმიტრი პესკოვმა თქვა, რომ პუტინი და „რუსეთის ფედერაცია არის და იქნება“. ამასთან, უკრაინის დაზვერვის ხელმძღვანელმა კირილ ბუდანოვმა თქვა, რომ პუტინი სულ მცირე სამ ორეულს იყენებს.



დოკუმენტების დაპაღპის პანი

აშშ-ის პრეზიდენტის სახლში 13-საათიანი ჩხრევის შემდეგ კიდევ ექვსი საიდუმლო დოკუმენტი აღმოაჩინეს. ამის შესახებ ინფორმაცია მედიას ჯო ბაიდენის ადვოკატმა მიაწოდა.



ზოგიერთი დოკუმენტი იმ პერიოდს მიეკუთვნება, როდესაც ბაიდენი სენატორი იყო, ხოლო სხვები მისი ვიცე-პრეზიდენტობის დროინდელია. ადვოკატის ცნობით, ჩხრევის შედეგად ამოღებულია აშშ-ის პრეზიდენტის ხელნაწერი შენიშვნები და თანმდევი მასალა.

ჩხრევის დროს ბაიდენი და მისი მეუღლე სახლში არ იმყოფებოდნენ. ბაიდენმა თავად გასცა ნებართვა, რომ გამოძიებებს დელავერში მდებარე მისი სახლი გაეჩხრიკათ. შეგახსენებთ, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ბაიდენის სახლში გრიფით საიდუმლო დოკუმენტები აღმოაჩინეს. მანამდე ანალოგიური დოკუმენტები იპოვეს მის ყოფილ ოფისში – „ვენ ბაიდენის ცენტრში“ და ასევე სახლის ავტოფარეხში. მომხდარზე გამოძიება გრძელდება. საქმეზე დანიშნულია სპეციალური პროკურორი, რომელიც ინციდენტს დეტალურად შეისწავლის და დაადგენს, დაარღვია თუ არა პრეზიდენტმა საიდუმლო დოკუმენტების შენახვის წესები. ანალოგიური გამოძიება მიმდინარეობს ყოფილი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის წინააღმდეგაც, რომლის სახლში გასულ წელს ასევე იპოვეს გრიფით საიდუმლო დოკუმენტაცია.

კასიკ იპა ყოფილა!

ყოფილი ამერიკელი ასტრონავტი, მაზ ოლდრინი 93 წლის ასაკში დაქორწინდა. ცერემონია ლოს-ანჯელესში გაიმართა.

ქორწილის შესახებ პოსტი თავად ოლდრინმა გამოაქვეყნა.

„ჩემი 93-ე დაბადების დღეზე მოხარული ვარ გაუწყოთ, რომ ჩემი დიდი ხნის სიყვარული, ანკა ფაური და მე დავექორწინეთ“, – დაწერა ოლდრინმა sobnnth-ზე. მის პოსტს უამრავი გამოხმაურება მოჰყვა.



კიმ კარდაშიანმა პრინცესა დაიანას ყელსაბაგი შეიძინა

კიმ კარდაშიანმა პრინცესა დაიანას მრთილანობით დამშვენებული ამეთვისტოს ჯერის ფორმის ყელსაბაგი შეიძინა, რომელიც პრინცესას Sotheby's-ის აუქციონზე ეკუთვნის.



ყელსაბაგი „კარდაშიანების“ ვარსკვლავმა აუქციონზე 197 453 დოლარად შეიძინა. როგორც აუქციონის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ნივთი სასტარტო ფასთან შედარებით ორჯერ ძვირად გაიყიდა.

კარდაშიანთან დაახლოებული პირმა აღნიშნა, რომ კიმისთვის დიდი პატივია გარდაცვლილი პრინცესას ყელსაბაგი ფლობდეს. ულამაზესი სამკაული იმ კოლექციას დაემატება, სადაც კარდაშიანი მსოფლიოში გამორჩეული, ძლიერი, მისაბამი ქალების ნაქონ სამკაულებს აგროვებს. სწორედ ეს ქალები გახდნენ ვარსკვლავის ინსპირაცია.

კაღაღების გასაღების სპრინგი

ალასკაზე ცოლი და ქმარი ძაღლებს ავტობუსით ასეინენ. ამის შესახებ BBC იტყობინება. გამოცემის ინფორმაციით, ლი ტომფსონს და მის ცოლს მისი ძაღლების გასაღების სერვისი აქვთ, თუმცა წყვილმა ფეხით სეინობას ავტობუსის ყიდვა და ძაღლების ყოველდღე სხვადასხვა ადგილას სალაშქროდ წაყვანა გადაწყვიტა. ლი ტომფსონი ჰყვება, რომ ოთხფეხა მგზავრებს პირდაპირ სახლებთან აკითხავენ, ძაღლებმა ავტობუსში საკუთარი ადგილები იციან და მოგზაურობა უყვართ.



ლაშქრობის შემდეგ ძაღლები ავტობუსში სხდებიან და სახლებში ბრუნდებიან. ლი და მისი ცოლი უკვე 2 წელია ასეინენ. ამ დროის განმავლობაში მათ სოციალურ ქსელებში დიდი პოპულარობა მოიპოვეს.

დანი ალვუში ბისოსაზ მიღა

ბრაზილიელი ფეხბურთელი დანი ალვუში ბარსელონაში სექსუალური ძალადობის ბრალდებით დააკავეს. საფეხბურთო გუნდ „ბარსელონას“ ყოფილი მცველი და მსოფლიოს ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელი ბრალდებებს უარყოფს.

ბარსელონას სასამართლომ ალვუში გამოძიების დასრულებამდე გისოსებს მიღმა დატოვა, გირაოს გადახდის შესაძლებლობის გარეშე. მოსამართლემ ჩათვალა, რომ ბრაზილიელი შესაძლოა გაქცეულიყო. მექსიკურმა კლუბმა, რომელიც ახლა იუვენტუსის და პსუ-ს ყოფილი ფეხბურთელი თამაშობს, კონტრაქტის გაწყვეტის შესახებ უკვე გააფრთხილა ინფორმაცია. მისმა ესპანელმა მეორე ნახევარმა, მოდელმა, ჯონა სანსმა ფეხბურთელი დაიცვა და განაცხადა, რომ სზირად ქალები ზედმეტად კი აწუხებენ, მის მომხიბვლოდ მოუდღეს, არადა ის მათ მიმართ უტაქტობას არასდროს ავლენს...



საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS
REPUBLIKA

ჭაჭაჭაჭის გამზირი №170

მთავარი რედაქტორი

საბარტაპ ძოზულია

599 36-00-35

მთავარი რედაქტორის

მოადგილე

მამუკა შაშაძიძე

597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი

კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:

გურამ გომიშვილი

599 53-76-16;

ალექს

ასლანიშვილი

599 56-81-86;

გამომცემლობა:

შპს 100 – ახალი

„საქართველოს რესპუბლიკა“

გაზეთ „საქართველოს

რესპუბლიკის“ გამომცემელი

599 36-00-35

შპს „თანადგობა“-ი გაზეთ

„საქართველოს რესპუბლიკის“

გამომცემელი

ტ: 599 79-76-79

იკაძეძაბა სტამბა

„ქოლორი“

ი. გაღდაშაძის №3

კოდორი
ჭაჭა

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323



2 009882 616932

ავტორთა

საბარტაპძოზულია

რედაქტორის მიერ

შეუძვეთავი მასალა

დაიბარტაპა

ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები,

შესაძლოა, გუდა

არ ემთხვეოდეს

რედაქტორის პოზიციას.

ფაქტობის

სიზუსტეზე პასუხს

აბაგან ავტორები.

გაზეთის

მომდევნო

ნომერი

გამოვა

ოთხშაბათს,

25 იანვარს



უსტოური ვაჭარის ქარსი:

აუზ ფორარი - 2.6594; პარკ - 2.8822;

ბრიტანული ბირჟა სტარტინგი - 3.2878;

100 რუბლი - 3.8657; თურქული ლირა - 0.1414;

აზერბაიჯანული მანათი - 1.5675;

1000 სომხური დრამი - 6.7199

აინდი 23 იანვარსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:

ბარკ - ღამე -4, ღამე +7

მთიანი რაიონები - ღამე -10, ღამე +3

დასავლეთი საქართველო:

ბარკ - ღამე +3, ღამე +17

მთიანი რაიონები - ღამე -4, ღამე +13

თბილისი: ღამე 0, ღამე +6

დაგვიკავით, მოგვწერით:

ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35

ელ. ფოსტა: sakresp@top.ge

და sakresp@mail.ru

ვებ-გვერდი: www.sakresp.ge